81
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 მაისი 1917 წ.

ბრძოლა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ იბარებს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 41 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 41

სესხი თავისუფლებისა

მოქალაქენო! სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია.

მტრის მოსაგერებლად, რევოლიუციით შეძენილ **თავისუფლების** განსამტკიცებლად — საჭიროა ფული, ბევრი ფული.

დროებითი მთავრობა პირველად მოგმართავთ, თავისუფალ რუსეთის მოქალაქენო და გთხოვთ გაუმაგრეთ ზურგი, რათა ებრძოლოს ძლიერსა და შეუბრალებელს მტერს, რათა განამტკიცოს დემოკრატიული წესწყობილება.

ამიერ კავკასიის ყველა ეროვნების მამულიშვილნო! გულ-გრილად ვერ მოვიქცევით, როცა ემუქრებიან ჩვენს თავისუფლებას აქედან თუ იქიდან, ემუქრებიან იმ ჩვენს **თავისუფლებას**, რომელიც შევიძინეთ იმით, რომ გაგვიწირავს სიცოცხლე რუსეთის საუკეთესო ძეთა. უნდა აღვიძრნეთ მის დასაცველად, რადგან მტერთან საბრძოლველად, თავისუფლების დასაცველად საჭიროა ნივთიერი ღონისძიება,—უნდა გამოვიღოთ ეს ღონისძიება და გამოვიღებთ კიდეც.

მოქალაქენო!

გამარჯვება სესხისა დაამტკიცებს, რომ გვწამს რევოლიუცია, საჭიროა მთელმა ქვეყნიერებამ შეიგნოს, რომ რუსეთის მამულიშვილებს სწამთ რევოლიუცია. მაშინ ქვეყნიერებაც იწამებს რევოლიუციას. მაშინ თავისუფლების განმტკიცებაც გაადვილდება.

მოქალაქენო!

განცხადება დროებითის მთავრობისა, მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხზეთ, მოწოდებაა, ჩვენს მოქალაქობრივს გრძნობის აღძვრაა და ჩვენც, ქვემორე ამისა ხელის-მომწერი პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები ვიზიარებთ მაგ მოწოდებას, აღვიძვრნით მამულისა და თავისუფლების დასაცველად.

მაშ, აღასრულეთ მოვალეობა სასახელო და საპატრიოსნო.

მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხსა და დაეხმარეთ დროებითი მთავრობას—მოიგერიოს მტერი და ბოლომდე მიიყვანოს ქვეყნის გადემოკრატების საქმე **თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის საფუძველზედა.**

გამოიტანე, ერო თავისუფალო, შენი დაზოგილ-დაუნჯებული დიდი სსაერო და საშვილი-შვილო საქმის დასაცველად.

საზოგადო კომიტეტი თავისუფლების სესხისა
ამიერ კავკასიის სახალხო კომიტეტი სოციალისტ რევოლიუციონერებისა
სახალხო კომიტეტი რუსეთის სოც. დემოკრატიულ პარტიისა
თფილისის ცენტრალური კომიტეტი დაშნაკციუტუნისა
თფილისის საქალაქო კომიტეტი ხალხის თავისუფლების პარტიისა
ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
მუშათა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
თფილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი
ქართველ ნაციონალ დემოკრატების მთავარი კომიტეტი
ქართველ სოციალისტების სარევოლიუციო პარტიის თფილისის კომიტეტი.

კვირას, 7 მაისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ლადო დარჩიაშვილის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი დედა, ცოლი, ძმები, რძლები მამისა და დისწულები. პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე. 2—1

თფილისის მესამე უბნის სასურსათო კომიტეტის მოწოდება.

მოქალაქენო! კვირას, 7 მაისს, თფილისის მესამე უბნის მცხოვრებლებმა უნდა აირჩიონ უბნის სასურსათო კომიტეტში რვა წარმომადგენელი, უბნის სასურსათო საქმის მოსაწყობად.

მესამე უბნის მცხოვრებთა საზოგადო კრებაზე, რომელიც იყო 30 აპრილს, არჩეულ იქნა კომისია. ეს კომისია შესდგება 12 კაცისაგან, რომელიც უნდა დაეხმაროს მესამე უბნის კომიტეტს არჩევნების მოწყობაში. ამ კომისიამ და კომიტეტმა, რომელშიც შედის სამ-სამი წარმომადგენელი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსაგან და მესამე უბნის კოოპერატივთაგან, შეიმუშავეს ერთად შემდეგი წესრიგი არჩევნებისა:

1) არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა, ვინც კი არჩევნების დღეს 19 წლისაზე ნაკლები არ არის, მესამე უბანში სცხოვრობს, განურჩევლად სქესისა და რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომიც უნდა იყოს.

2) თვითეულ ჯარისკაცს ნება აქვს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რამდენი წლისაც უნდა იყოს.

3) არჩევნებისთვის უბანი იყოფა ოთხ ნაწილად: ამაღლების, მამადავითის, სოლოლაკის და ბაზრის.

ამაღლების ნაწილის საზღვრები: რტიშჩევის ქუჩის მარჯვენა მხარე, ლერმონტოვის ქ. მარცხენა მხარე, ლერმონტოვის ტუპიკი, ამაღლების ქუჩა, მთაზე სახლები, პროსელოჩნაია და კოჯრის ქუჩა.

მამადავითის ნაწილის საზღვრებია: მამადავითის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ერმოლოვის ქუჩის მარჯვენა მხარე, ფუნიკულერის ზემო სადგურამდინ.

სოლოლაკის ნაწილის საზღვრებია: ერმოლოვის ქუჩის მარცხენა მხარე ფუნიკულერის ქვემო სადგურამდინ, სასახლის ქუჩა, ერევნის მოედნის მარჯვენა მხარე, ველიამინოვის ქუჩა, ბებუთოვის რტიშჩევის ქუჩამდე, რტიშჩევის ქუჩის მარცხენა მხარე ლერმონტოვის ტუპიკი და ჟუკოვსკის ქუჩა.

ბაზრის ნაწილის საზღვრებია: მარცხენა მხარე პუშკინის ქუჩისა, რუსის ქუჩა ნეკრასოვის ქუჩამდე, ბარონის ქუჩა გოლოვინის პროსპექტი, სასახლის ქუჩა და თამამშევის ქარვასლა.

4) კომიტეტის და საორგანიზაციო კომისიის წევრებმა შეადგინეს ოთხი საარჩევნო კომისია, რომელშიც შედის სამ-სამი წარმომადგენელი მცხოვრებთაგან და თითო კომიტეტისაგან. აგრეთვე ყოველ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მონაწილეობას იღებს არჩევნებში შეუძლია გამოგზავნოს კომისიაში თითო დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

5) თითეული საარჩევნო ნაწილი ირჩევს ბარათებით ორ წარმომადგენელს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით.

6) არჩევნები მოხდება 7 მაისს, დილის 11-დან ნაშუადღევის სამ საათამდე, ამაღლების ნაწილში: მეორე პუშკინის სახელობის პირველ დაწყებითი სკოლაში, კოჯრის და ბებუთოვის ქუჩის კუთხე.

სოლოლაკის ნაწილში, მესამე სავაჟო გიმნაზია ლერმონტოვის ქ. № 28.

მამადავითის ნაწილში: მამადავითის ქუჩა პირველდაწყებითი სკოლა; აკაკი წერეთლის სახელობაზე.

ბაზრისა: მესამე საქალებო გიმნაზიაში. ბებუთოვის ქ. № 28.

კომიტეტი მოუწოდებს მოქალაქეთ, მჭიდროდ შეკავშირდნენ სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად.

მესამე უბნის სასურსათო კომიტეტი.

სახალხო სახლი

ორშაბათს, 8 მაისს 1917 წ. თფ. ქართულ დრ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე რევოლიუციონური პიესა:

ჟან და მადლენა

დრამა 5 მოქ. ო. მირბოს თარ. ნ. შარაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ-ნნი: აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, ი. თარალაშვილი გ. სალაძე, და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ისყიდება ამ თავითვე თეატრის კასაში.
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. შემდეგი წარმოდგენა 15 მაისს უკანასკნელად.

ადმინისტ. ქართ. მსახ. ამხანაგობისა.

მე 7-დე უბნის მოქალაქენი ორივე სქესისა მოწვეულნი არიან

საზოგადო კრებაზე

ავლაბრის თეატრ პალასში კვირას, 7 მაისს, დილის 9 საათზე საუბნო სასურსათო კომიტეტში 7 წევრის ასარჩევათ. ვინაიდან სასურსათო საკითხი ამ ჟამად მნიშვნელოვანია, ვთხოვთ კრებაზე გამოცხადდეს ყველამ და წინდაწინვე ვაცხადებთ, რომ არჩევნები კანონიერათ ჩაითვლება, რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს.

მე-7-დე უბნის სასურსათო კომიტეტი.

რევოლიუციის ახალი ფაზისი.

კოალიციური დრ. მთავრობის შედგენა უკვე ფაქტია. არსებითათ პირველი დრ. მთავრობის შემადგენლობაც კოალიციური იყო. მასში შედიოდენ სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები: ოქტომბრისტები, კადეტები, პროგრესისტები და ერთი სოციალისტ რევოლიუციონერი, უკანასკნელი არა პარტიის სახელით, არამედ პირადათ.

ამრიგათ ეს იყო ბლოკი ყველა ბურჟუაზიულ პარტიების. მის გარეშე იდგენ წარმომადგენელნი მუშათა კლასის და გლეხობის, ე. ი. მთავარი ძალა რევოლიუციის.

ამ ორი ძალის ბრძოლაში ჩატარდა სრული ორი თვე რუსეთის თავისუფლების. მთელი რიგი კონფლიქტებში, დემოკრატია საბჭოების სახით შეკავშირებული თავის ნება-სურვილს უკარნახებდა დრ. მთავრობას, და ასე სხვისი ხელით თავის საქმის გაკეთებას ცდილობდა.

ბურჟუაზია და ბურჟუაზიული პარტიები ოდნავათაც არ იყვნენ ასეთ პირწმინდა დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებისთვის მომზადებული. მათი პროგრამის მაქსიმუმი უკვე გადალახული შეიქნა ცხოვრებისაგან. მთელი რიგი იმ რეფორმათა, რომელსაც ეს პარტიები პირდებოდენ ხალხს, უკვე პირველ დღესვე განხორციელებული აღმოჩნდა. ცხადია რევოლიუციის შემდეგი გაძღოლა მათ აღარ შეეძლოთ. მარა რევოლიუციასაც არ შეეძლო ამ საფეხურზე გაჩერება. რევოლიუცია მუდამ მღელვარე ზღვაა. მისი ტალღები თანდათან ზევით და ზევით იწევენ. ახალ-ახალი მოთხოვნილებების წამოყენება, აი მისი ბუნება.

თვით ყველასაგან სრული ნდობით აღჭურვილ დროებით მთავრობასაც კი არ შეუძლია ასეთ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მით უმეტეს არ შეეძლო იგი დრ. მთავრობას, რომელსაც მხოლოდ პირობითი ნდობას უცხადებდენ რევოლიუციონურ არმიის ხელმძღვანელი საბჭოები.

ბურჟუაზიულმა პარტიებმა იგრძნეს ეს და შეეცადენ საბჭოების დამორჩილებას. მარა მათმა შრომამ უნაყოფოთ ჩაიარა. ბრძოლიდან გამარჯვებული საბჭოები გამოვიდენ. მუშათა და ჯარის სიეზდებმა მათი მხარე დაიჭირეს.

ამნაირათ ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ერის გაძღოლა, ნაციონალურ საქმის წარმოება. ამაში ერთხელ კიდევ გამოხატა სისუსტე რუსეთის ბურჟუაზიული კლასების. მას შესწევს გამბედაობა ძალა-უფლებას ხელი მოკიდოს, მათ არ შესწევთ ძალა და ენერგია ეს უფლება დაიჭიროს და შეინარჩუნოს.

აი აქ იჩენს თავს სისუსტე რუსეთის მრეწველობის, განუვითარებლობა, საწარმოვო ძალების, და როგორც ამის შედეგი, განუვითარებლობა ბურჟუაზიულ კლასის.

ეს დიდ საფრთხეს უმზადებს რუსეთის თავისუფლებას.

დემოკრატია იძულებული ხდება ან თავის მოთხოვნებზე ხელი აიღოს, ან ამ მოთხოვნების განხორციელება თვით იკისროს, ე. ი. დრ. მთავრობაში შევიდეს.

მუშათა საბჭომ და პოლიტიკურმა სოციალისტურმა პარტიებმა მეორე გზა აირჩიეს.

ამით მათ აღიარეს, რომ რუსეთს შესაფერი წმინდა დემოკრატიული ბურჟუაზიული კლასი ჯერ არ ყავს, რომ ერთად ერთი დემოკრატია, იგივე მუშათა კლასია, ე. ი. სოციალისტური დემოკრატიაა.

მარა სოციალურ დემოკრატიის სამინისტროში შესვლით პრობლემა არ იჭრება. ეს თავგანწირული გადაწყვეტილება რევოლიუციურ ტალღების დასამშვიდებლათ, მარა მასში დიდი საფრთხე იმალება.

დეკლარაცია, რომლითაც სოციალისტები სამინისტროში შედიან მხოლოდ დემოკრატიულია და შიგ სოციალისტური ერთი ელემენტიც არ ურევია. მაშასადამე აქ სოციალისტებმა უნდა აკეთონ დემოკრატიის საქმე. აქ მათ უნდა დაივიწყოთ თავის ნამდვილი სახე და მიიღონ სახე ბურჟუაზიულ დემოკრატიული. მხოლოდ მაშინ იცნობს მათ ბურჟუაზიაც. თვით დეკლარაცია,—ხელშეკრულება მათგან მიღებული, ასეთ დავალებას აძლევს მათ. იგი პირველყოვლისა მოითხოვს მათგან ოპოზიციის მოსპობას, ე. ი. კლასთა ბრძოლის შეჩერებას და კლასთა თანამშრომლობის მიღებას.

დრ. მთავრობა უნდა სრული ნდობით სარგებლობდეს, ამბობს დეკლარაციის ერთ-ერთი მუხლი. ცხადია, მაზე კონტროლს და გრედმიდან ძალდატანებას უნდა საზღვარი დაედვას. ბოლოს და ბოლოს ეს იქნებოდა ძალდატანება თავისივე ამხანაგებზე, ეს იქნებოდა დარღვევა და უარყოფა მიღებულ და დადასტურებული ხელშეკრულობის. ამნაირათ უქმდება ძველი ბრძნული პოლიტიკა ბურჟუაზიულ რევოლიუციაში ბურჟუაზიის მთავრობის და მუშათა კონტროლის; ამიერიდან ბატონდება ახალი პრინციპი კლასთა თანამშრომლობის, ბურჟუაზიის და მუშათა კლასის შერიგების, ე. ი. პრინციპი არა რევოლიუციის წარმოების, არამედ დამშვიდების და საერთო თანხმობის.

მარა შესაძლებელია ეს?

ჩვენ ვამბობთ, რომ არა. და აი რატომ. რევოლიუციური მოძრაობა ეს უდიდესი და უწვავესი კლასთა ბრძოლაა. მას წიაღში წარმოებს ძალთა განწყობილების განუწყვეტელი გადაქმნა, საზოგადოების ახალ-ახალ ელემენტების ბრძოლაში ჩაბმულთაგან ახალ-ახალ პოზიციების დაჭერა და მაზე გამაგრება. (8 საათის სამუშაო დღე, ზავის საკითხი ჯარის დემოკრატიზაცია და სხვა). ცხადია თვითეული კლასი ამ დუღილში ცდილობს თავის ძალების გაზრდას, თავის ინტერესების უფრო ფართოთ დაკმაყოფილებას. ამაშია შინაარსი და ბუნება რევოლიუციის. და ეს ასაზრდოებს თავის მხრივ გაალმასებულ კლასთა ბრძოლას.

ამიტომ მისი შეჩერება ნიშნავს რევოლიუციის შეჩერებას, რაც შეუძლებელია. ვინ შეაჩერებს აზვირთებულ ზღვას?

პეტროგრადი და მოსკოვი კი—ეს მთავარი ცენტრი და ხელმძღვანელი რევოლიუციისა სწორეთ ასეთ ზღვას ემსგავსება. ადვილია რევოლიუციური თანამშრომლობა პროვინციაში, იქ, საცა რევოლიუციური ტალღა ერთხელაც არ შეხეთქებია თავის ზღუდეებს, როგორც ჩვენში, სადაც ხალხს პოლიტიკურ გარდაქმნაში მასსიური მონაწილეობა თითქმის სრულიად არ მიუღია, საცა რევოლიუციას მის მაგიერ, მისი ხელმძღვანელები აწარმოებენ კანცელარიებში და კომისარიატებში.

ერთი, სიტყვით ადვილია მოძრაობის შეჩერება იქ, საცა იგი ზერელეა, კაბინეტურია, მარა შეუძლებელია დიდ ცენტრებში, სადაც იგი ხალხის სიღრმეს ჩასწვდა და სადაც ამიტომ ვეება სტიქია დაუძლეველის ძლიერებით ქანაობს, მიისწრაფის წინ, და მთავრობას თავის ნებას უკარნახებს. ცხადია კოალიციონური სამინისტრო ამ მხრით ვერაფერს გააკეთებს. მისი დეკრეტით რევოლიუციის ლოღიკა არ გადატრიალდება, კლასთ ბრძოლის სიმწვავე არ განელდება მისი დეკრეტით მხოლოდ რევოლიუციურ პარტიებს ხელფეხი შეებორკება, და მასსა მათ ეჭვი არაა გადააბიჯებს, თუ ამ გზას არ ჩამოაშორა და ისევ თავის ტალღის ხერხემალზე არ აატივტივა.

ამნაირათ სოციალისტური ფრთა სამინისტროსი თუ იგი დრ. მთავრობისადმი სრულ ნდობას მოითხოვს—ადრე თუ გვიან უარყოფილ იქნება მუშათა მასსისაგან. ხოლო თუ ამას ის მოითხოვს და არ მიიღებს, იძულებული იქნება, როგორც პირობის დამრღვევმა სამინისტროს პორტფელზე ხელი აიღოს.

პირობითი ნდობით მას არსებობა არ შეუძლია.

ამნაირათ იქნება ახალი პრობლემა, ახალი წინააღმდეგობა, იქნება ახალი კვანძი; განსხვავება ისაა, რომ რევოლიუციურ კვანძში წინეთ ბურჟუაზიული მინისტრები იყო ჩაჭედილი, დღეს სოციალისტები შეიქნენ შიგ ჩაბმულნი, დღეს ყოველი ახალი კონფლიქტი მათ ზურგზე გადაივლის, მათ ნდობას და გავლენას შეასუსტებს და დასცემს.

რევოლიუცია უმაღლეს საფეხურზე ავიდა, რომლის იქით მის ბურჟუაზიულ რევოლიუციის ფარგლებში წარმოება შეუძლებელია. ბურჟუაზიის დიდი ნაწილი, რომელსაც აქამდე არ მოსწონდა მუშათა იერიშები, ამიერიდან მას მარჯვნიდან ჩაუდგება ოპოზიციაში. იგი მის არც ერთ ნაბიჯს, წინ გადადგმულს, აღარა სცნობს თავისათ და ჩამოშორდება. აქედან იბადება აუცილებლობა ან მუშათა და მისს მიმყოლ ელემენტთა დიქტატურის, ან უკან დახევის, ერთიც და მეორეც მომასწავებელია აუცილებელ მოქალაქობრივ ბრძოლის, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ერთი შედეგი მოყვება, მუშათა განმარტოვება და რეაქციის გაძლიერება.

აქედან დიდი საფრთხე დგას დემოკრატიის წინაშე. მეტათ რთული და ძნელი გადასაჭრელი პრობლემაა წამოყენებული. არის კი ხსნა? ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით და ვართ დღესაც კოალიციურ სამინისტროს შედგენის. ჩვენი აზრით იგი რევოლუციის კვანძს კი არ ხსნის, უფრო ხლართავს. მდგომარეობას კი არ ამარტივებს, უფრო ართულებს. მარა იგი დღეს ფაქტია და ჩვენ გვინდა თუ არა, მას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

მისი ახლავე დაშლა არა ნაკლებ შეცდომა იქნებოდა, ვინემ შედგენა იყო. ეს დიდ არევ-დარევას გამოიწვევდა. ცხადია ამ მხრით ახლა მუშაობა დიდი უაზრობაა. მარა ამავე დროს დროებითი მდგომარეობის გახანგრძლივება, თვით სოციალისტურ პარტიებს აშკარა კრახს უმზადებს და ამით რევოლუციას დაასამარებს.

მართლაც განა შეუძლიათ დრ. მთავრობას თუნდა სოციალისტებით შეზავებულს გადაჭრას სურსათის საკითხი ისე, რომ ბურჟუაზიულ ურთიერთობის საფუძველი, ბურჟუაზიული საკუთრება არ შეარყიოს და არ დაახარალოს?

განა შეუძლია მას ომის საკითხი ისე მოსჭრას, რომ ბურჟუაზიული პრინციპი ერთიანათ არ გააქარწყლოს?

განა შეუძლია მას ტრანსპორტს, მრეწველობას, სამხედრო და სასურსათო საგნების დამზადებას ნამდვილი მოწესრიგებული, გაპლანული ხასიათი მისცეს ისე, რომ პრინციპი ბურჟუაზიულ ურთიერთობის ერთიანათ არ ააფორიაქოს?

გერმანიის მთავრობამ სცადა მოწესრიგება წარმოების, მარა მას სარჩულათ დაუდვა ე. წ. სახელმწიფო სოციალიზმი, ე. ი. მუშათა კლასის, როგორც მთელის, დამორჩილება შეერთებულ და შეკავშირებულ ბურჟუაზიულ კლასზე, როგორც ერთ მთლიან კლასზე. მუშათა კლასი ამ რეფორმას ყველგან წინააღმდეგობით და პროტესტით შეეგება, რადგან მასში თავის დამონების ახალი იარაღი დაინახა.

ცხადია სოციალისტური ელემენტები დრ. მთავრობის ასეთ გზაზე შედგომას არ მოისურვებენ.

ამნაირათ დასკვნა ასეთია: სოციალისტები იქ თავისას ვერ გააკეთებენ, რადგან საამისო ობიექტიური პირობები არ არსებობს, სხვისი სამუშაოს კეთებით კი მუშათა დემოკრატიას ვერ დააკმაყოფილებენ.

ამიტომ გამოსავალი ერთად ერთი-ღა დარჩენილა: აუცილებელ კონფლიქტებს და კრახს დავასწროთ და რაც შეიძლება აჩქარებით მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება. თუ აქამდის ის ძალიან საჭირო იყო, ახლა ის პირდაპირ აუცილებელია.

დაუყონებლივ, სულ მოკლე ხნის განმავლობაში საჩქარო წესით უნდა შემუშავდეს საარჩევნო კანონი. საჩქარო წესით, რამდენიმე კვირის განმავლობაში უნდა დაინიშნოს არჩევნები და მოწვეულ იქნენ ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც თვით შექმნიან სამინისტროს და ქვეყანას გაუძღვებიან.

აგრარული მოძრაობის გამო.

გუშინდელ დეპეშიდან ვტყობილობთ, რომ რუსეთში ზოგიერთ ალაგას გლეხების მოძრაობამ ანარხიული ხასიათი მიიღო. რამდენიმე ალაგას გლეხებს მემამულეების სახლ-კარისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ. თუ ამისთანა უწესოებამ ფართო ხასიათი მიიღო, ეს საშინელს საფრთხეს მოუმზადებს რევოლუციას.

რუსეთის დემოკრატიამ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი აგრარულ მოძრაობის შესახებ: პეტროგრადში მომხდარმა მუშ. და სალდათთა დეპუტატების კრებამ დიდი ხანია ამნაირი მოქმედება დაიძრახ; მაგრამ რადგანაც მიწის დატაცება გლეხების მიერ მაინც მეორდება და რადგანაც ზოგიერთ ორგანოებში ეს საკითხი ბურუსში გახვიეს, მეტი არ იქნება ერთხელ განვიხილოთ იგი.

მუშათა და სალდ. დეპუტატების სრულიად რუსეთის კრების წევრნი კარგათ გრძნობდენ, რომ მიწის საკითხი საშინელი მწვავე საკითხია, მისი გადაწყვეტა დიდს სიძნელეს წარმოადგენს, რომ გლეხების მიწით დაკმაყოფილება აუცილებელია, ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ ამ საკითხში სიეზდმა დიდი სიფრთხილე გამოიჩინა მან გადასწყვიტა—ახლავე დაუყონებლივ ჩამორთმეულ იქნეს ის მიწები, რომლის ჩამორთმევა არც ერთს კლასს, არც ერთს წოდებას არ მიაყენებს ზიანს—მიწები, რომლებიც ხელმწიფეს, მის საგვარეულოს (საკაბინეტო და საუდელნო) და ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნის, მაგრამ რასაკვირველია, ეს არ კმარა. სიეზდმა გამოსთქვა ის აზრი, რომ საშინელება იქნება, გაგვემტკიცებინა ის საუკუნოებრივი საზიზღრობა, რომლის ძალითაც ზოგს ათიათასი დესეტინა მიწა ეკუთვნის, ზოგს კი ერთი ადლი მიწაც არ მოეპოვება. სიეზდმა მტკიცეთ გამოსთქვა, რომ საჭიროა მემამულეებს უფასოთ ჩამოერთვათ მიწა, მაგრამ სიეზდი იმასაც ხედავდა, რა უზომო გადატრიალება მოხდება ხალხის მეურნეობაში ამ ზომის დაკანონებით. ამიტომ ეს ზომა უნდა გაატაროს იმ დაწესებულებამ, რომელსაც უმაღლესი ძალა ექნება ხელში. ასეთი დაწესებულება კი დამფუძნებელი კრებაა. დამფუძნებელ კრების მოწვევამდის კი არავითარი თვითნებობა, არავითარი გატაცება მიწისა არ არის მოსაწონი. ამნაირათ დატაცება, სიეზდის აზრით, კონტრრევოლუციას ამაგრებს, ძველი წესების წისქვილს აბრუნებს.

მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ მემამულეებმა წინანდებურათ მუხრუჭი მოუჭირონ მათ ხელში მყოფ გლეხებს. გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობის მოსაგვარებლათ, სიეზდის აზრით, უნდა სოფლებში დაარსდეს სასოფლო კომიტეტები. ამ კომიტეტებს დაევალებათ—მოაწესრიგონ სოფელში საიჯარო პირობები და სოფლის მუშების დაქირავების პირობები. მხოლოდ ეს მოწესრიგება უნდა დაევალოს, სიეზდის აზრით, საგლეხო კომიტეტებს, და სხვა არაფერი.

სამწუხაროთ, ზოგიერთი რევოლუციონური ორგანო პეტროგრადის სიეზდის მიერ შემუშავებულ გეგმას არ ეთანხმება, მაგ. მოსკოვის ს.-დ. ბოლშევიკების ორგანო და ჩვენი თანამოძმე თბილისელი „კავკ. რაბოჩი“ იმ აზრის არიან, რომ საჭიროა საგლეხო კომიტეტებმა მიწა მემამულეებს ახლავე თავიანთ ნებით ჩამოართვან. რადგანაც ჩვენი ამხანაგები ამ აზრს მეტის მეტათ მედგრათ იცავენ, საჭიროა ცოტა ვრცლათ გავეცნოთ მათ აზრის მსვლელობას.

„კავკ. რაბოჩი“-მ ორნაირი ფორმა იცის მიწის წართმევისა—ორგანიზაციულათ მოწყობილი და ორგანიზაციულათ მოუწყობელი. მას არ მოსწონს „მოუწყობელი“ დაპატრონება მემამულეთა მიწისა. ამნაირს დაპატრონებას იგი უწოდებს „თვითნება მოქმედებას“, რომელიც, გაზეთის აზრით, „სტიქიურია, ამიტომ საშიშია“.

„სულ სხვა საქმეა ორგანიზაციულათ მოწყობილი დაპატრონება“, ე. ი. ისეთი დაპატრონება, რომელიც საგლეხო კომიტეტების მიერ იქნება წარმოებული.

„ამიტომ სწორეთ ამ კომიტეტებმა უნდა მოაწყონ ეს დაპატრონება მებატონეთა და ყველა სხვა მიწებისა (კონფისკაცია).

დამფუძნებელ კრების ლოდინი, გაზეთის აზრით, სრულიად მეტია. „ლოდინს“ გლეხებს მხოლოდ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა ურჩევს, რადგან მას უნდა დრო მოიგოს, მოატყუილოს გლეხები და მერე ხახა მშრალი დასტოვოს.

„კავკაზსკი რაბოჩის“ მხოლოდ ერთი რამ ავიწყდება: მარტო ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ კი არ აღიარა დამფუძნებელ კრების ლოდინის საჭიროება; ეს საჭიროება აღიარა აგრეთვე პროლეტარიატმა, რომელსაც ბურჟუობას ვერ დასწამებ; ეს საჭიროება აღიარეს სალდათებმა, რომლებიც გუშინ გუთანს მოაშორეს; ეს საჭიროება აღიარეს თვით გლეხებმაც საგლეხო სიეზდებზე. რით აიხსნება, რომ არც პროლეტარიატს, არც სალდათებს, არც თვით გლეხობას სრულიად არ ესმით გლეხების გასაჭირი?

„კავკ. რაბოჩი“-ს მეტათ მარტივათ აქვს წარმოდგენილი მიწის დაპატრონება. გლეხთა კომიტეტმა გადასწყვიტა, ჩამოართვა მებატონეს და სამართლიანობის მიხედვით დაურიგა გლეხებს. ამაზე უბრალო რაღა იქნება? მაგრამ „კავკ. რაბოჩი“-ს ერთი რამ ავიწყდება: ის, რის გაკეთებაც ადვილია ერთი სოფლის ფარგალში, ძნელია მთელი სახელმწიფოს მანძილზე. ერთი სოფელი ცალკე ცხოვრებით არ ცხოვრობს, სხვა სოფლებს მოწყვეტილი კი არ არის, სოფლები ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან. ერთ სოფელში მებატონეს ბევრი მიწა აქვს, მეორეში ნაკლები. მიწის ჩამორთმევა ერთს სოფელს გააბედნიერებს, მეორეს ცოტას შეხძენს. რა ქნას ამ მეორე სოფელმა, რომელსაც ნაკლები შეხვდა და მიწა არ ეყოფა? როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ მის კომიტეტის მოლაპარაკება ბედნიერ სოფლის კომიტეტთან სასურველათ ვერ დაბოლოვდა? აიღოს კეტები და ორთითები და ბედნიერ სოფლების მცხოვრებლებზე წავიდეს? სხვა რაღა დარჩენია?

გააფართოვეთ ამნაირი აზრთა მსვლელობა უფრო დიდ რაიონზე, მაზრაზე, გუბერნიაზე და მაშინ წარმოიდგინეთ, რა ქაოსი, რანაირი ანარხია დაეპატრონება მთელს სახელმწიფოს, „კავკ. რაბოჩის“ ამხანაგების ჭკუაზე რომ გაიარონ გლეხებმა.

მიწის დატაცება დატაცებაა, ვინც უნდა აწარმოოს იგი, სულ ერთია, ცალკე გლეხებმა, თუ კომიტეტებმა. მიწის საკითხი პირველ ხარისხოვანი სახელმწიფო საკითხია და იგი უნდა მთლიანათ გადაწყვიტოს იმისთანა დაწესებულებამ, რომელიც მთელ სახელმწიფოს მთელი ხალხის ნებას გამოხატავს, სხვანაირი გადაწყვეტა კითხვისა წარმოუდგენელია. ამიტომ კი არ უნდა წავაქეზოთ გლეხები, თავის ნებით დაეპატრონენ მემამულეთა მიწებს; ჩვენ მათ უნდა მოუწოდოთ, მოთმინებით ელოდონ დამფ. კრების მოწვევას და დღეს იმოქმედონ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებსაც უჩვენებს მათ დროებითი მთავრობა. საუკუნეობით მონობას ითმენდენ გლეხები და ნუ თუ რამდენიმე თვე ველარ მოუთმენიათ დემოკრატიის განმტკიცების გულისთვის.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

კოალიციონური სამინისტრო.

პეტროგრადი. დროებითი მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო შეთანხმდა. გამოაქვეყნებენ მთავრობის დეკლარაციას ახალ შემადგენლობაზე. შეთანხმების ძალით დროებით მთავრობაში შევლენ ს. დემოკრატიის სამი წარმომადგენელი და სახალხო სოციალისტთა სამი.

პეტროგრადი. საღამოს 11 საათზე დასრულდა დროებითი მთავრობის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შეერთებული კრება. მიიღეს დეკლარაცია ზოგიერთ შესწორებით. ხელის მოწერა გადაიდო 12 საათისთვის, როცა მეორე კრება მოხდება. ამ კრებაზე გადაწყდება საკითხი იმ პირთა შესახებ, რომლებიც შევლენ დროებითი მთავრობაში, როგორც სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლნი. გამოირკვა რომ კერენსკის გარდა კიდევ ხუთი სოციალისტი იქნება. ს.-დემოკრატების წარმომადგენლებათ საბოლოოთ ასახელებენ ორ პირს: სკობელევს და მალიანტოვიჩს. სახალხო სოციალისტები: ჩერნოვი და პეშეხონოვი. პორთფელების განაწილების საკითხი და მერმე სოც.-დემოკრატის, რომელიც დრ. მთავრობაში უნდა შევიდეს გადაწყდება ღამის კრებაზე. ღამის პირველ საათზე მოხდა სრული შეთანხმება და გადაწყდა შემდეგი: მიწათ მოქმედების მინისტრათ ინიშნება—ჩერნოვი, შრომის—სკობელევი; საგარეო საქმეთა—ტერეშჩენკო, სამხედრო-საზღვაო—კერენსკი. სასურველათ სცნეს მიიწვიონ დროებით მთავრობაში წერეთელი და აგრეთვე პროფესორი კოკოშინი რომელიც დამფუძნებელ კრებისთვის მომწყობ საქმის მინისტრი იქნება. განზრახვა აქვთ დაარსონ სოციალურ უზრუნველ ყოფის სამინისტრო, ამ სამინისტროს პორთფელს მიიღებს ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენელი. დასასრულ განიხილეს შინგარევის შესახებ. საკითხი, რომელიც გადაუწყვეტელი დარჩა დეკლარაციას ხელი მოაწერეს. კრება შესწყდა ღამის სამ საათზე.

პეტროგრადი. დილიდანვე ყველანი დაინტერესებული იყვნენ მილიუკოვის წასვლის საკითხით. დღისით გამოირკვა, რომ მილიუკოვს შეუძლებლათ მიაჩნია დარჩეს მინისტრათ. მიუხედავათ ამისა ყველა წრეებს იმედი აქვთ, რომ მილიუკოვი დასთანხმდება იკისროს სახალხო განათლების მინისტრობა. თვით დროებით მთავრობის წევრები იმ აზრის არიან, რომ მილიუკოვის მათ შორის ყოფნა აუცილებლათ საჭიროა. შინგარევის და მანუილოვის წასვლის შესაძლებლობა დღისით სიბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო. გამოირკვა, რომ ნეკრასოვი დარჩება, იმ შემთხვევაშიაც კი უკეთუ ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენელთაგან სამი დასტოვებს ადგილს. მთელი დღის განმავლობაში დროებითი მთავრობის კრება იყო. საღამოს ექვს საათზე დაიწყო დროებით მთავრობის, დუმის აღმასრულებელ კომიტეტის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელთა შეერთებული კრება. კრების გახსნისას დროებითმა მთავრობამ წარმოადგინა წინდაწინ დამზადებული დეკლარაცია. თავადმა ლვოვმა განაცხადა, რომ დეკლარაციაში წამოყენებულია სხვა და სხვა მოთხოვნები და პირობები, რომლების მიღება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ერთი უმთავრესი პირობათაგანია—აუცილებლათ შეიმუშაოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადაჭრილი განცხადება, რომლითაც სრული ნდობა უნდა გამოუცხადონ დროებით მთავრობას. დეკლარაციის პროექტი, რომელიც რვა მუხლისაგან შესდგება, შეადგინა ნეკრასოვმა. ემყარება რა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპს დეკლარაცია აღნიშნავს, რომ რუსეთისა და მისი მოკავშირეთა დამარცხება მთელი კაცობრიობას საშინელ უბედურებას მოუტანდა. ამიტომ მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ რევოლიუციონური რუსეთი ნებას არ მისცემს გერმანელებს გაანადგურონ ჩვენი მოკავშირეები. შემდეგ ნათქვამია, რომ მთავრობა ყოველივე საშუალებას იხმარს მოაწესრიგოს სასურსათო საქმე, ამისათვის ის მარტო სახელმწიფო კონტროლს არ დაემყარება, არამედ მოაწყობს წარმოების ორგანიზაციებსაც. მთავრობა ეცდება მოაწესრიგოს მიწის საკითხი. თავადმა ლვოვმა განაცხადა, რომ დეკლარაციას ულტიმატიური ხასიათი აქვს და მოითხოვა მისი სრულიად მიღება,

მოწოდება.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა მოწოდებით მიმართოს მთელი რუსეთის გლეხობას დაეხმარონ შეშისა და საამშენებლო მასალის დამზადებაში, რადგან ამ მხრით დიდ საჭიროებას განიცდის რუსეთი. მასალები უნდა დამზადდეს სახელმწიფო ტყეებში. საჭიროა აგრეთვე ისეთ ტყეები გაიჩხოს, რომლებიც უმთავრეს გზების ახლოს არიან. შეშისა და მასალების დამზადება მოხდება დროებითი მთავრობის განკარგულებით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კონტროლის ქვეშ.

არეულობა.

კიშინევი. რადგან სოროკის მაზრაში არეულობას ბოლო აღარ ელება ჯარის კაცთა და აფიცერთა დეპუტატების საბჭომ გაგზავნა იქ ცხენოსანი და ქვეითი რაზმი აფიცრებით და ჯარის კაცთა წარმომადგენლებით.

ლენინს არ უშვებენ.

სიმფეროპოლი.—რადგან ხმები გავრცელდა ევპატორიაში ლენინი მოდისო, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა არა სასურველათ სცნოს ლენინის იქ მისვლა და სთხოვა გარნიზონის უფროსს დააყენოს ყარაულები, რომ ლენინი არ შეუშვან ქალაქში, ხოლო ის უკეთუ მაინც შეიპარება, დაიჭირონ და გააძეონ.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. 1 მაისი. (დაგვიანებულია). სტოკჰოლმში მოვიდა აქსელროდი, რომელსაც გერმანიის მთავრობამ ნება დართო გერმანიაზე გავლის.

სტოკჰოლმი. გამოაქვეყნეს ჰოლლანდია-სკანდინავიის სოციალისტურ კომიტეტის ცნობა ბორგსბერგის პეტროგრადში წასვლის შესახებ. მან განაცხადა, რომ მან გადასცა რუს ამხანაგებს ზავის პირობების პროგრამმა.

სტოკჰოლმი. 3 მაისი. საერთაშორისო კონფერენციის მდივანმა მიიღო ცნობა ავსტრიის უკრაინელთა ს.-დემოკრატიულ პარტიის ცნობა, რომ მის წარმომადგენლად კონფერენციაზე იქნებიან ვლადიმერ ტემნიცკი და ნიკოლოზ განკევიჩი.

პეტროგრადი. 3 მაისი. დილით მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ცნობა დროებითი მთავრობისაგან კოალიციონურ სამინისტროს შედგენის თანხმობის შესახებ. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების კრების ბიურომ განაცხადა, რომ მას სურს თავის წარმომადგენლების საშუალებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის კრიზისის ლიკვიდაციაში. თათბირში მონაწილეობას იღებს სრულიად რუსეთის გლეხთა კომიტეტიდან 5 დელეგატი.

პეტროგრადი. 3 მაისი. მთავრობის და ფრონტების კომანდირების შეერთებულ სხდომაზე, უკანასკნელთა აზრით ჯარში ისეთი განწყობილებაა, რომ საჭიროა კოალიციური სამინისტროს შედგენა, რაც აღადგენს დისციპლინას და ჯარის ენერგიას. კერენსკის სამხედრო მინისტრათ დანიშვნა, კომანდირების აზრით, ჯარში გამოიწვევს დიდ სიხარულს, ჯარი მას თავისიანათ თვლის.

სასულიერო სკოლები.

სიმბირსკი. საეპარქიო სიეზდმა დაადგინა ყველა სასულიერო საქალებო და სავაჟო სკოლები და სემინარიები გადაეცეს სახალხო განათლების სამინისტროს.

დუმის წევრთა კერძო თათბირი.

პეტროგრადი. 4 მაისი. დღეს თავრიდის სასახლეში როძიანკოს კაბინეტში მოხდა დუმის წევრთა კერძო თათბირი. თავმჯდომარეობდა როძიანკო. მილიუკოვმა და გუჩკოვმა, რომლებსაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ, აღნიშნეს ის მოტივები, რომლის გამო იგინი გადადგენ. თათბირმა ერთხმად დაადგინა: „დუმის წევრთა თათბირი მიმართავს რა დროებით მთავრობას მოაგონებს, რომ საგარეო პოლიტიკის, ზავისა და ომის საკითხს საფუძვლათ უნდა დაედვას აუცილებელი ერთგულება ჩვენი მოკავშირეებისადმი, რადგან ამ ერთგულებასთან მჭიდროთ შეკავშირებულია რუსეთის ცხოვრების ინტერესები და მისი სახელი და პატიოსნება.

აგრარული მოძრაობის მოლოდინი.

უსტიუჟნო. აპრილში ომიდან დაბრუნდენ ჯარისკაცები. მათი, თუ სხვების გავლენით გლეხებში აგრარული მოძრაობა დაიწყო. გლეხები მუშაობაზე უარს ამბობენ და ბევრი მინდორი დაუთესავი რჩება.

პეტროგრადი. საკულტურო-საგანმანათლებლო საზოგადოებამ „ალლიანს-ფრანსეზ“ პატივისცა საფრანგეთის მინისტრ ტომას. ტომამ სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სხვათა შორის შეეხო რუსეთის რევოლიუციას და განაცხადა, რომ მას დიდის აღტაცებით შეეგება საფრანგეთიო.

არეულობა.

დონის-როსტოვი.—როსტოვის რკინის გზის კავშირის გამგეობამ დეპეშები მიიღო, რომ ვლადიკავკავის რკინის გზაზე ჯარისკაცები არეულობას ახდენენ. ჯარისკაცები ხშირად ერევიან ტეხნიკურ მოძრაობის საქმეში. სად. მინერალნია ვოდის აგენტები იძულებული არიან მუშაობაზე უარი სთქვან, რადგან მათ სიკვდილით ემუქრებიან. ჯარისკაცები სადგურის მორიგეების საქმეებში ერევიან და სიკვდილით ემუქრებიან. დონის სადგურზე მატარებელი დაიჭირეს, შიგ მყოფი ჯარისკაცები აჯანყდენ. აგენტები დახმარებას თხოულობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ამბობენ სამსახურზე. სადგურ კოტლიარევსკიზე ჯარისკაცებმა დაატყვევეს სადგურის უფროსი და სხვებსაც ემუქრებიან. სადგურ ატამანსკიზე მთვრალმა ჯარისკაცებმა პორუჩიკის მეთაურობით დიდი უწესოება მოახდინეს. კავშირი სთხოვს დეპუტატთა საბჭოს დაიცვას მოსამსახურენი ძალმომრეობისაგან.

სტოკჰოლმი. გერმანიის მთავრობა პასპორტს არ აძლევს უმრავლეს და უმცირეს ს.-დემოკრატთა დელეგატებს სტოკჰოლმში წასასვლელათ.

ლონდონი. მუშათა არეულობა თავდება. მუშაობას იწყებენ.

ლონდონი. 4 მაისი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გერმანიას წინ უდგას საშინელი სიმშილის აჩრდილი. საქმე იქამდი გამწვავებულა, რომ ჰოლანდიიდან ყიდულობენ ძაღლებსა და კატებს, როგორც ქონის საჭიროებისთვის, აგრეთვე ხალხის და ჯარის საჭმელათ, ტანისამოსის შეძენა შეუძლებელი გახდა.

სტოკჰოლმი. 3 მაისი. ბერლინიდან იტყობინებიან: კანცლერის შემდეგ ცენტრის სახელით გამოვიდა და განაცხადა შპანმა—რეიხსტაგში სამხედრო მიზნების შესახებ ბაასი სამშობლოს ზიანს არ მოუტანს, გერმანიის ხალხი ზავს ეტრფის, რაიც არ შეარყევს გერმანიის მსოფლიო მდგომარეობას, ჩვენ სალამს ვუძღვნით მთავრობის განცხადებას ზავის შეკვრის და რუსეთთან მეზობლურ კეთილ განწყობილების შესახებ. დამოუკიდებელი სოციალ დემოკრატების სახელით ლედებური ამბობს, რომ კანცლერი მიილტვის აღმოსავლეთისა და [illegible] ანექსიისთვის. არავის არ სჯერა, რომ გერმანია ომს მოიგებს. რუსეთთან სეპარატიული ზავი შეუძლებელია, რუსეთის მთავრობას შეუძლია გავლენა მოახდინოს მოკავშირეებზე და ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ ამ გარემოებას, თორემ გერმანიაშიც ის მოხდება, რაც რუსეთში და იძულებული ვიქნებით რესპუბლიკა შემოვიღოთ.

თამბოვი. 4 მაისი. მთვრალმა ჯარისკაცებმა სრულიად უმიზეზოთ სცემეს და დაატუსაღეს მილიციის უფროსი გულენკო.

ლონდონი. 4 მაისი. თემთა პალატაში პაციფისტი სნოუდენი მოითხოვს სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას და ამბობს, რომ რუსეთი დღეს ომის ისეთი დამცველი აღარაა, როგორც წინეთ და ძველი მთავრობის ხელშეკრულებებს ფასი ეკარგება. მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატიას სურს საყოველთაო ზავი. ლისმიტი ამბობს, რომ რევოლიუცია ზავის დასაწყისია და ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყება საქმეს არ წაახდენს უაიტი იმ აზრისაა, რომ ზავზე ლაპარაკის დაწყების ნამდვილი დრო ეხლაა. რამზეი და მაკდონალდი საჭიროთ სთვლიან რუსეთთან კონფიდენციალურ დამოკიდებულების დაწყებას.

კოალიციონური სამინისტრო.

პეტროგრადი. 3 მაისი. დილით, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ დროებითი მთავრობა პრინციპიალურად თანახმაა—შესდგეს კოალიციონური სამინისტრო. გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის სიეზდის ბიურომ სურვილი განაცხადა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის კრიზისის საკითხის გადაწყვეტაში, წინადადება მიეღეს დეკლარაციის შესახებ. თათბირში მონაწილეობას იღებს გლეხთა სიეზდის ბიუროს ხუთი დელეგატი.

კანცლერის სიტყვა რეიხსტაგში.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტოს ცნობით 2 მაისს რეიხსტაგის სხდომაზე კანცლერმა ბეტმან ჰოლვეგმა შემდეგი შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა: ეს არის დაადგინეს მომთხოვონ განუმარტო რა მიზანი აქვს ჩვენ ომს. მე საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო, რომ ასეთი მოთხოვნა ქვეყნის ინტერესებისთვის სასარგებლო არ იქნება და ამიტომ ასეთ შეკითხვას მე უარვყოფ. (შუა სკამებზე მოწონების ხმები). 1915 წლიდან მოყოლებული დღემდე ყველა დაჟინებით მთხოვდა განმემარტა ჩვენი მიზანი დღევანდელ ომში, რომ ძალა დაეტანებიათ, ამ განმარტებისთვის, ჩემ მდგომარეობას ისე ხსნიდენ თითქოს მე რომელიმე პარტიის ან ჯგუფის აზრს ვიზიარებდე ამ შემთხვევაში. ამას მე სასტიკათ უარვყოფ. მთავრობას არ შეუძლია საჯაროთ შეეხოს ამ საკითხს, ამიტომ მთავრობის სიჩუმე იმ მხრით არ უნდა გამოიყენონ თითქოს რაიმე სხვა აზრი ჰქონდეს მას. ჩვენი მიზნის შესახებ საზოგადოთ რის თქმაც შეიძლება მე აქ უკვე ვსთქვი, ამის მეტს კი არას ვიტყვი. ამ ძირითად დებულებებს ვემყარები ეხლაც. ეს დებულებები აღნიშნული იყო სამშვიდობო წინადადებაში 12 დეკემ. 1916 წ. ჩვენ მოკავშირეებთან ერთად. ის მოსაზრება თითქო ზავის შესახებ ჩვენ და მოკავშირეები სხვადასხვა აზრის ვიყვეთ, მხოლოდ ზღაპარია სხვა არაფერი. საზოგადო მდგომარეობა მაიძულებს მე თავი შევიკავო და შეიდემანის და რეზიკის ცდა ამაოა, მე იგინი ვერ გადამხვევინებენ ჩემი გზიდან. მე ვერ შემაშინებს შეიდემანის მიერ წამოსროლილი სიტყვა რევოლიუცია, იმ დროს, როცა მდინარე ენზე არრასთან ზარბაზნები ქუხს. (გახურებული ტაშის ცემა) გერმანიის ხალხი ყურებში არ შეუშვებს შეიდემანის ამ სიტყვას. ვერ შემაშინებს ვერც რეზიკის სიტყვა, რომელიც ამტკიცებს, თითქოს მე ს.-დემოკრატიის გავლენის ქვეშ ვიყო, მე არც ერთ პარტიას არ ვემორჩილები, არც მარცხნით არც მარჯვნით. მე ვემორჩილები მხოლოდ ჩემ ხალხს, რომელიც იბრძვის ჩვენი სამშობლოს დასაცავათ. მე მრწამს, რომ რეიხსტაგის უმრავლესობა და ხალხი გაიგებს ჩემს მდგომარეობას. ერთი თვეა, რაც სასტიკი ომი გრძელდება ჩვენ დასავლეთ ფრონტზე. ინგლისელები და ფრანგები კრინტს არ სძრავენ ზავის შესახებ, არავითარი ნიშნები არა სჩანს უარი სთქვან ანექსიაზე და კონტრიბუციაზე. რომელმა სახელმწიფოებმა მიმართეს მთელ მსოფლიოს წინადადებით გასულ ზამთარში შეეწყვიტათ ეს საშინელი სისხლის ღვრა? ლონდონიდან და პარიჟიდან თუ? იქიდან ამ დროს ეძახოდენ: ომის მიზანი, რომლის შესახებაც ჩვენი აზრი გამოვსთქვით ამ 2 წლის წინათ, ძალაში რჩება. განა ასეთ დროს ჩვენ მიერ უარის თქმა ჩვენ მოთხოვნებზე აიძულებს მათ ზავი ჩამოაგდონ? ნუ თუ მე უნდა ვსთქვა „მტერო! რაც უნდა მოხდეს ჩვენ ყოველ შემთხვევაში უარს ვამბობთ ყველაფერზე, არაფერ ზიანს თქვენ არ მოგაყენებთ, თქვენ კი, რომლებიც ჩვენ სიცოცხლეს ემუქრებით, მუდამ შეგიძლიათ ეძებოთ ბედი. არა, მე თავის დღეში ამას არ ვიზამ, ასეთ პოლიტიკას მე არასოდეს არ დავადგები, ასეთი პოლიტიკა სამარის კარზე მიიყვანს ჩვენ ქვეყანას და დაღუპავს ჩვენ ხალხს. ან იქნება გგონიათ, რომ ჩვენ წამო აყენოთ დაპყრობითი პროგრამა? არც პირველი გვინდა და არც მეორე. ჩვენ მთელ ხალხს, მთელ ქვეყანას ვეომებით არა იმიტომ, რომ დაპყრობითი პოლიტიკა ვაწარმოვოთ, არამედ ჩვენ გვინდა დავიცვათ ჩვენი ნაციონალური უფლებები და მყვიდრი ნიადაგი მოუმზადოთ საყოველთაო მშვიდო-

ბიანობას. რაც შეეხება რუსეთს, როგორც სჩანს ახალი რუსეთი უარს ყოფს დაპყრობითი გეგმას. ვერაფერს ვიტყვი მოახდენს ამ მხრით გავლენას რუსეთი თავის მოკავშირეებზე თუ ვერა, ერთი კი ცხადია, რომ ინგლისი დანარჩენ მოკავშირეთა დახმარებით, სცდილობს თავის საომარ უღელში შეაბას რუსეთი და ხელი შეუშალოს მას ჩქარა ზავის ჩამოგდებაზე. უკეთუ რუსეთს სურს უარი სქვას ყოველივე გეგმაზე და აღადგინოს ჩვენ შორის მეზობლური კეთილ განწყობილება, ჩვენ ისეთ მოთხოვნილებას აღარ წაუყენებთ, რომლებიც ხელს შეუშლის მათ თავისუფალ განვითარებას და რაც ახალ მტრობას დასთესავს რუსეთის ხალხში ჩვენ მიმართ. მე მწამს, რომ ჩვენ ურთიერთს გავიგებთ და მტრობას ადგილი აღარ ექნება. ჩვენი სამხედრო მდგომარეობა დღეს წინანდელზე უკეთესია. მიუხედავათ აუარებელ მსხვერპლისა ჩვენმა დასავლეთის მტრებმა ჯერ ვერაფერი დაგვაკლეს. ღრმათ მწამს ომს კეთილათ დავაგვირგვინებთ და ზავის შესახებ მოლაპარაკების დროც დაგვიდგება (ხანგრძლივი ტაში).

არეულობა სამარაში.

სამარა. 3 მაისი. დღეს სიწყნარეა. გამოირკვა, რომ გუშინ შვიდ სარდაფში გაუნადგურებიათ ღვინოები. დაჭერილებთა შორის არიან ყოფილნი „გოროდოვები“ ერთი აგიტატორი აღმოჩნდა გადაცმული მთავრობის მოხელე. მოწმეები ამტკიცებენ, რომ წინა დღით ამ უკანასკნელის სახლში ვილაცეებს კრება ჰქონდა, არეულობის თავიდან ასაცილებლად შეადგინეს შეიარაღებული მუშათა რაზმები, რომლებიც დაეხმარებიან პატრულებს. მუშათა და სალდათ. დეპ. საბჭომ აკრძალა საღამოს 6 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა, დაჭერილების შესახებ გამოძიებაა.

სარატოვი. 4 მაისი. ნოვოუზენსკის მაზრიდან 500 ტყვე გაიქცა. ორი კვირის განმავლობაში 2 მილიონი ფუთი ხორბალი მოზიდეს. ბეღლები სივსეა ხორბლით. მოზიდვა გრძელდება.

პეტროგრადი. 4 მაისი. პეტროგრადიდან წავიდნენ გენერლები: ალექსეევი, ბრუსილოვი, გურკო, შერბაჩევი და დრაგომიროვი.

გაიხსნა გლეხთა საბჭოების დელეგატების ყრილობა. მოვიდა 161 დეპუტატი. ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია ბრეშკობრეშკოვსკაია. „ვესწრაფით-რა მალე ზავის ჩამოგდებას, განაცხადა ბრ.-ბრეშკ., ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ბრძოლა. ჯარის პასიურობა ზავს შორს გადააგდებსო“. მეორე საპატიო თავმჯდომარეთ აირჩიეს ჩერნოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ აგრარული პოლიტიკის უმთავრესი საფუძველია მიწების ჩამორთმევა. თავმჯდომარეთ აირჩიეს აქსენტიევი. საფრანგეთის მინისტრი ტომა მიესალმა ყრილობას ფრანგ გლეხების სახელით. შინგარიოვი იმედოვნებს, რომ გლეხობა მისცემს ჯარს პურს, ურომლისოთ ომის გაგრძელება შეუძლებელია. ყველა ორატორებს ყრილობა ოვაციებს უკეთებს.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 4 მაისი. **დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე** დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე, კლაპასოვის სამხრეთ-დასავლეთით, უშნუეს აღმოსავლეთით ოსმალთა მზვერავი რაზმები ჩვენ სანგრებს დაუახლოვდენ, მაგრამ მალე ისინი უკუქცეულ იქნენ. შეაშედას რაიონში ჩვენს რაზმებს ქურთები გარს შემოერტყენ, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც ჩვენ 15 ჯარის კაცი დავკარგეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი. 3 მაისი. ლაფოს ჩრდილო-დასავლეთით მტერს მთელი დღის განმავლობაში იერიშები მოაქვს. მიუხედავათ იმისა, რომ მათი ჯარი რიცხვით ერთობ მრავალია, მაინც მტრის იერიშებს ვიგერიებთ და დიდ ზიანსაც ვაყენებთ. ერთხანს ზოგიერთა ადგილებში უკან დავიხიეთ, მაგრამ კვლავ კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული პოზიციები კვლავ უკან დავიბრუნეთ. ამ ბრძოლის დროს მტრის მრავალი ტყვეები წამოვიყვანეთ. კრონის ფრონტზე საარტილერიო სროლა გაცხოველდა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ჰაეროპლანების მოქმედება. 2 მაისს ჩვენმა მფრინავებმა მტრის 3 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ბალკანეთში, დოირანის ტბის დასავლეთით, დაუტილის რაიონში 700 მეტრით წინ წავიწიეთ.

სარკა-დი-ლეგენ-გაჯიბაროშის ფრონტზე ბულგარიის ჯარის მიერ მოტანილი კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ და მათ დიდი ზიანი მივაყენეთ. სერბიის ჯარი გრადეშნიცის მოულოდნელათ თავს დაესხნენ. მიუხედავათ ცუდი ამინდისა სერბიის მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

ჰავრი. 3 მაისი სტრეენსტრეტის რაიონში საარტილერიო სროლა გაცხოველდა. ამ ფრონტზე ხშირად ბრძოლა ხელით სასროლ ნაღმების მეოხებითაც სწარმოებს.

ლონდონი. 3 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, ბიულკურას დასავლეთით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ მიმდინარეობს. სკაპრის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლაა.

ლონდონი. 4 მაისი. სკაპრის ჩრდილოეთით ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა კონტრ-იერიშები მოიტანა და ჩვენ იძულებული გავხდით წინა სანგრები დაგვეტოვებია. მაგრამ მალე იერიშები მივიტანეთ და დაკარგული სანგრები დავიბრუნეთ. იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ.

რომი. 2 მაისი. პლავის გასწვრივ, ცუკოს მთაგორიან ადგილებში ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ, კარსოს ჩრდილოეთით მტრის სანგრებს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეთ. მათ ზიანი მივაყენეთ.

რომი. 3 მაისი. იზონცოს რაიონში, პლავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღლობი „383“ დავიკავეთ. გორიცის აღმოსავლეთით, მონტესანტოს ფერდობებთან ჩვენმა ჯარმა ოდნავ წინ წაიწია. დავიკავეთ მეორე მაღლობი „174“. დღემდის ტყვეთ წამოვიყვანეთ 3,375 ჯარისკაცი, მათ შორის 98 აფიცერია; ხელთვიგდეთ სამთო ზარბაზანი და 30 ტყვიის-მფრქვეველი.

ახალი ამბები

◆ პარასკევს 14 აპრილს ხარკოვის ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა რევოლიუციის პირველ დღეებში ხალხისაგან განთავისუფლებული საკატორღო ციხიდან პოლიტიკური დამნაშავე პავლე ლუარსაბისძე კაპანაძე. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდა მოქალაქური წესით, კვირას, 16 აპრილს. ხარკოვის მშრომელმა კლასმა ღირსეული პატივი სცა სიმართლისათვის მებრძოლ მსხვერპლს. დაკრძალვას ხელმძღვანელობდა აქაური წითელი ჯვარი. მიცვალებული გამოასვენეს ორთქლმავალის მკეთებელ (паровозостроительный) ზავოდიდან დღის 3 საათზე. ურიცხვი პატივმცემელთა პროცესია მიყვებოდა კუბოს სამგლოვიარო სიმღერით. უკრავდა სამხედრო მუსიკა. წესრიგი ზედმიწევნით დაცული იყო. წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

◆ განსაკუთრებულმა კავკასიის კომიტეტმა გუშინწინდელ თავის კრებაზე დაიწყო წესების შემუშავება ადგილობრივი ძალების მოწყობისა.

◆ თფილისის კომისარიატმა მიიღო ზუგდიდიდან შემდეგი ტელეგრამა:

„1912 წელს, 20 დეკემბერს, გამოცემულ კანონის ძალით გლეხებს დაუწყეს გადასახადის ართმევა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში. არეულებანი მოსალოდნელია. ზუგდიდის აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს შეჩერებულ იქმნას ეს გადასახადები.“

◆ განსაკუთრებულმა კავკასიის კომიტეტმა ერევნიდან მიიღო შემდეგი ტელეგრამა: ხშირი ხასიათი მიიღო მიწებისა და წყლის ხელში ძალადობით ჩაგდებამ. ქურთები სცილდებიან საზღვარს, ეცემიან მშვიდობიან მცხოვრებთ და მიყავთ ნახირი. ზოგ ადგილებში მიმოსვლა სავსებით შეწყვეტილია. მილიცია უძლურია. საჭიროა ჯარი, რომელმაც უნდა დაიცვას წესიერება და მცხოვრებთა მშვიდობიანობა. სწორეთ ამისთანა დროს წაიყვანეს ერევნის გარნიზონი ფრონტზე. ამიტომ ვითხოვთ გამოიგზავნოს ათასი ჯარის კაცი რომელთაც მიეცეს წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვის უფლება.

◆ ისაია შუბლაძემ თავის მდგმურებს რიცხვით თვრამეტს—თითო მანეთი დაუკლო სახლის ქირა 1 მაისიდან და შეჰპირდა თუ საერთოთ ყველა დაუკლებს, მაშინ კიდევ დაგიკლებთო.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საოლქო სიეზდი. გუშინ 5 მაისს სათავადაზნაურო გიმნაზიაში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სიეზდი. ჯერ-ჯერობით ჩამოსულია 50 დელეგატი.

კრებები და მიტინგები.

— მორიგი სხდომა მუშათა დელეგატების საბჭოსი მოხდება დღეს, საღამოს 5 საათზე სახალხო სახლის დარბაზში. დღის წესრიგი: 1) კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ყრილობის მოწვევა. 2) მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების საბჭოთა შეერთება. 3) ქალაქის მმართველობის რეორგანიზაცია. 4) მინისტრების შეცვლა. 5) მუშათა კომისიის მოხსენება. მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

— კვირას, 7 მაისს, 4 საათ. შესდგება მიტინგი 1 რაიონის კოლექტივის სახელით. საგანი „ომი და შერიგება“. დიდუბეში—რკინის გზის სასწავლებლის ეზოს.

— რადგანაც აპრილის 18 არ შესდგა დალაქთა კრება—ვსთხოვთ ყველას მაისის 7 მობრძანდნენ რემესლენი უპრავაში დილის 10 საათზე.

— XI უბნის სასურსათო კომიტეტი იწვევს შაბათს ნაშუადღევის 4 საათზე ნაძალადევის თეატრში XI უბნის მცხოვრებლებს (ქალებს და კაცებს). სურვილია გაიხსნას ორი განყოფილება მომხმ. საზოგადოების „ალორძინების“. საჭიროა შედგეს სამყოფი მომხმარებლები და ამოირჩეს ბინა სად გაიხსნას. ნაძალადევის სასურსათო კომიტეტი.

— კვირას 7 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ერთობის უბანში, (ნადიროვკა), სამღვოლნი ქუჩაზე, წყალსადენის პირდაპირ, მეორე რაიონის სოც. დემოკრ. პარტიის კომიტეტი გამართავს მიტინგს თანამედროვე საკითხებზე.

— კვირას, 7 მაისს დანიშნულია ეფიმოვის ცირკში საზოგადო კრება მეჩექმეებისა და ყველა ტყავზე მომუშავეებისა. საორგანიზაციო კომისია სთხოვს ყველა ამხანაგებს უსათუოდ დაესწრონ. გასარჩევია შემდეგი კითხვები: განხილვა წესდების, არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის. მიმდინარე კითხვები. კრება დაიწყება პირველ საათზე.

— დღეს, შაბათს 6 მაისს, დანიშნულია კავკასიის რკინის გზის კონდუქტორების კრება, კონდუქტორების ოთახში, დილის 10 საათზე. თემა: დემოკრატიული რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრება.

— დღეს მოხდება საინტენდანტო სამხედრო ბარგის გადამზიდველ განყოფილების სალდათთა კრება, საღამოს 6 საათზე, დიდუბეში. თემა: მდგომარე მომენტი.

— დღესვე მოხდება კრება თამბაქოს ქარხნის „მირ“-ის მუშებისა, ავლაბარში დილის 2 ნახ. საათზე. თემა: ორგანიზაცია მუშებისა. ქართულ და რუსულ ენაზე.

— ლევანდოვსკის გიმნაზიაში დღეს გაიხსნება კრება კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების დელეგატებისა.

— შაბათს, 6 მაისს, საღამოს 5 ს. დანიშნულია ებრაელთა კრება (ებრაელთა სალოცავში). თემა: სოციალდემოკრატიული პროგრამის გაცნობა.

— დღეს 6 მაიისს საღამოს 7 საათზე დანიშნულია კრება, რაზედაც სთხოვენ დაესწრონ ყველა პროპაგანდისტთა კურსებზე ჩაწერილ ქალებს და თანამგრძნობებს. კრება მოხდება ფრეილინის ქუჩაზე, ზოგიერთ კითხვების გამოსარკვევათ.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

ფოთი. 24 მარტს მუშათა დეპუტატების საბჭოს სადგომში შესდგა ს. დ. პარტიის დამფუძნებელი კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ავქსენტი მეგრელიძე, მდივნად ს. ხოშტარია. სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ მოუწოდა ამხანაგებს რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნისთვის პატივი ეცათ ფეხზე ადგომით. კრებამ მიიღო საოლქო კომიტეტის მიერ გამომუშავებული პარტიული წესდების პროექტი, ერთი მუხლის შესწორებით: 5 ნაცვლად 3-ი ამხანაგის თავმდებობა დაადგინა ახალ წევრთა მიღების დროს. თანახმად ამავე წესდებისა კრებამ აირჩია ხელმძღვანელი კომიტეტი 15 წევრისაგან, სარევიზიო კომისიაში 5 წევრისაგან და პარტიაში მსურველ პირთა ჩამწერი ბიურო. ბიუროში შემდეგი სარაიონო მდივნები მოხდენ, რომელთაც ევალებათ დროებით სარაიონო ხაზინადრების როლი შეასრულონ: ვანო იმნაძე—ნახუტურისათვის; პორფილე ტაბაგუა—ახალ სოფლისათვის; ვასო ქადეიშვილი—კაპარჭინის რაიონისათვის; კოლია ქვანია—ბაზრისათვის; კარპეზ ქლენტი და კაპიტონ ვაშალომიძე—ნავთსადგურისათვის. კომიტეტის არჩევა მოხდა ფარული კენჭის ყრით. უდროობის გამო დღის წესრიგში დასმული საკითხები გადაიდო.

კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი, რომელიც აგრეთვე აღმასრულებელ კომისიის როლს ასრულებს. თავმჯდომარეა—ავქ. მეგრელიძე; მისი ამხანაგი ლ. ტუღუში და შ. ლეჟავა; ხაზინადარი—ვანო თალაკვაძე; მდივანი ს. ხოშტარია და ორგანიზატორი—პ. სეფერთელაძე. კომიტეტის კრებები ხდება საშაბათობით საღამოს 6 საათზე.

კომიტეტმა დაადგინა დასტამბოს პარტიის პროგრამა, 1500 ც. ქართულად და 500 რუსულად, თითო ცალი იყიდება 10 კაპ. მხოლოდ ჯარისკაცებს უფასოდ.

კომიტეტის სახსრის გასაძლიერებლად გადაწყდა წარმოდგენის მოწყობა.

კომიტეტმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი დ. ყულებში ს. დ. ორგანიზაციის მოსაწყობად.

კომიტეტმა დაავალა შამშე ლეჟავას ადგილობრივ ცხოვრებიდან საჭირო ცნობები აგზავნოს პეტროგრადში არსებულ ს.-დ. ბიუროში, თანახმად იმავე ბიუროს თხოვნისა.

გადაწყდა უხელმძღვანელონ ნახუტურუს რაიონის დემოკრატიულ წრეებს.

კომიტეტის აღმასრულებელ კომისიის ინიციატივით შესდგა პროპაგანდისტ-აგიტატორების წერ. წრემ აირჩია ხელმძღვანელი ბიურო.

23 აპრილს მოხდა პარტიის მეორე გაერთიანებული კრება, რომელზედაც მიიღეს 800-მდე ახალი წევრი. **გ. ჩ.**

დ. ზუგდიდი. ზუგდიდის ყველა სავაჭრო დაწესებულებებში უკვე შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე.

ს.-დ. ორგანიზაციამ დაარსა უფასო საღამოს კურსები ნოქრებისთვის. ასწავლიან ქართულ წერა-კითხვას, ქართულ ისტორიას და გეოგრაფიას და ბუნებისმეტყველებას. პირველი გაკვეთილებით მსმენელები კმაყოფილნი არიან და ცოდნის მიღების დიდი სურვილი აქვთ.

იმავე ორგანიზაციას განზრახვა აქვს დ. ზუგდიდში დაარსოს ნოქართა კლუბი და კვირა უქმობით წააკითხვიოს ამხანაგებს ლექციები სხვადასხვა თემებზე.

შესდგა ს.-დ. ნოქართა და ჯარისკაცთა წრეები, სადაც ჩვენი შეგნებული ამხანაგების ხელმძღვანელობით სწარმოებს ს.-დ. პარტიის პროგრამის ახსნა-განმარტება.

დაარსდა ს.-დ. ორგანიზაციის ინიციატივით პროპაგანდისტთა კურსები, პროპაგანდისტების მოსამზადებლად.

29 აპრილს, საკრებულო დარბაზში, ლეო შენგელიამ წაიკითხა ლექცია დემოკრატიულ რესპუბლიკის და საქართველოს მომავალ მდგომარეობის შესახებ. **იკირკიშ.**

ხარაგაულში. 28 აპრილს კომიტეტს სხდომა ჰქონდა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სტ. ალავერდოვი, გამოირკვა, რომ თავისუფლების გამოცხადების დროს შემდგარი ს. დ. კომიტეტის წევრები უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზების გამო წასულან.

შესდგა ახალი კომიტეტი ძველი კომიტეტიდან მოწვეულ იქნა ამხ. ს. თავდიშვილი და ვ. აბაშიძე.

კრებამ დაადგინა ახლო-ხანში მოწვეულ იქნას საერთო კრება სხვადასხვა კითხვების გასარჩევათ და კომიტეტის ასარჩევათ. საორგანიზაციო ბიუროში არჩეულ იქნენ ალავერდოვი, თავდიშვილი და ჩერნიავსკი. კრებამ დაადგინა ეცნობოს საოლქო კომიტეტს არსებობა აქაურ ორგანიზაციისა და კავშირი იქონიოს მასთან. რაც დაევალა ამხ. თავდიშვილს.

მუშათა პრესის სასარგებლოთ 22 აპრილს შეგროვილი ფული ასე გაანაწილეს: „ერთობას“ „ფაიქარს“ „კავკასკი რაბოჩი“-ს ქუთ. „სოციალ-დემოკრატს“ და „პრავდას“. ახლო მომავალში მოწვეულ იქნება პარტიის საერთო კრება. **„ნაპერწკალი“.**

მუშათა ცხოვრება.

თფილისი. 30 აპრილს დიდუბეში რკინის გზის სასწავლებლის შენობაში შესდგა კავკასიის და კახეთის რკინის გზების კურიერების, სტოროჟების და წვრილ მოსამსახურეთა ორივე სქესის კრება პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ. კრებაზე დაესწრენ 300 მდე კაცი და ქალი. პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიუროსაგან გაგზავნილი იყო ვიქ. ნინიძე. მან ვრცლათ გააცნო კრებას პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობა, აუხსნა მომენტის მნიშვნელობა. კრებაზე გამოცხადდენ სოციალ.-რევოლიუციონერთა პარტიის წარმომადგენელი სტუდენტი ასლანოვი და მანკო და ნება ითხოვეს ლაპარაკისა. კრებამ ნება მისცა მათ ლაპარაკისა. ორატორებმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვეს და მოუწოდეს დამსწრეთ თავი მოეყარად ესერების პარტიის გარშემო. მათ ვრცელი სიტყვით უპასუხა ვ. ნინიძემ, რომელმაც აუხსნა სოციალ დემოკრატიული პარტიის შეხედულება თანამედროვე კითხვებზე, და ფაქტებით დაუსაბუთა დამსწრეთ ამ პარტიის ავანგარდობა რევოლიუციაში. კრებამ ოვაცია გაუმართა მას.

ბოლოს კრებამ დაადგინა: პროფესიონალური კავშირის ორგანიზაციის არჩევნები გადაიდოს სხვა დროისთვის, ეთხოვოს პროპაგანდისტთა კოლეგიას, რათა ხშირათ გამოგზავნონ მათთან კრებაზე სოციალდემოკრატი პროპაგანდისტი, რომელიც გააცნობს მათ ვრცლათ ამ პარტიის პროგრამას. **№.**

ხაშურის დეპო. მოწინავე მუშები აქ დიდ ენერგიას იჩენენ.

აქ დაარსდა ტეხნიკური კომისია, სამკითხველოს ხელმძღვანელი ორგანო, კასის დამაარსებელი ბიურო და სასურსათო კომისია, ყველა ამაების ხელმძღვანელნი მოწინავე მუშები არიან.

ამ ნაირათ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხაშურის მუშებიც ახლო მომავალში სხვა საყურადღებო ნაბიჯებს გადადგამენ და არ ჩამორჩებიან სხვა დარგის მუშებს. **სიცონ.**

რევოლიუცია პროვინციაში.

სოციალდემოკრატია და სოფელი. (გარე კახეთი). მუშათა საბჭოს დავალებით გავემგზავრეთ სართიჭალის რაიონში, გლეხებში პროპაგანდის გასაწევათ და გლეხთა საბჭოების მოსაწყობათ. გაგებული გვქონდა, რომ გარე კახეთის სოფლებში უკვე მისულიყვნენ ფედერალისტები და თითქმის ყველგან მოეხდინათ არჩევნები ისე, როგორც ეს მათ სურდათ, ამიტომ გვეშინოდა ვაი თუ ჩვენმა მისვლამ გამოიწვიოს არევ-დარევა მეთქი. 1905 წლებში აწიოკებული გლეხკაცობა შიშისაგან ათის წლობით პირში ენა გაქვავებული, გაფცქვნილ გაყვლეფილი სოფლის მოხელეთაგან, კვრა გაცივებულ სახლებიდან დამფრთხალნი, ძველი მთავრობის ბრჭყალებში მგმინავი გლეხი რას გვეტყოდა ახლა? აი რა იყო ჩემი ფიქრი, როცა მატარებლით იორის სად გურს დაუახლოვდით. როგორ შეხვდება გლეხობა მუშათა საბჭოს მოწოდებას, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხმას, აი ის ცენტრი რომლის გარშემო ტრიალებდა მთელი ჩემი აზროვნება. იორის სადგურიდან გავსწიეთ ხაშმისაკენ. გზა და გზა გლეხები აგვემგზავრნენ. როგორაა სოფლების საქმე, ვეკითხები გლეხებს. პასუხში შევნიშნე, რომ რაღაცას მერიდებოდნენ და ზანტათ მიპასუხებდნენ. მწარე ეჭვმა გამიარა გულში. ნუ თუ გლეხი, რომელიც გმინავდა ძველი რეჟიმის ბრჭყალებში, მტრულად შეხვდა თავისუფლებას? აზრი და გრძნობა მომიდუნდა, ხელახალი შეკითხვები ვეღარ გავუბედე. მივედით ხაშმზე; ერთი ახალგაზდა თოფიანი გლეხი დაწინაურდა და გლეხებს რაღაც უთხრა. მივედი თუ არა მაშინვე ჩემი ნაცნობი მღვდელი ვიკითხე. იმ დროს, როცა სახლს თითით მაჩვენებდა, ის თოფიანი გლეხი, ერთი გლეხი მეორეს ეუბნება: „აკი ვსთქვი, რომ ეს ცილინდრიანი კაცი, კარგი სული არ იქნება მეთქი, მოვიდა თუ არა მაშინვე მღვდელი იკითხა. წამსვე მივხვდი საქმეს და აუხსენი ვინც ვიყავი. გაიგეს თუ არა, რომ მუშათა საბჭოსაგან ვიყავი და თანაც სოც.-დემოკრატი, წამსვე სახის ფერი ეცვალა ყველას, შეიქნა ფაციფუცი და ერთი მხიარულება ერთმანეთს ეხმოდნენ და სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში ორასამდე ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. მოვიდნენ ჩემი თანამგზავრი გლეხები და ბოდიში მოიხადეს. არ ვიცოდით, ბატონო, ჩვენ ფედერალისტი გვეგონეთ და უკაცრავათ თუ გულცივათ მოგექეცითო. გამოირკვა, რომ სულ პირველათ ფედერალისტებს მოეხდინათ არჩევნები, შემდეგ გაევლო ჩემზე წინ ამხანაგს და მუშათა საბჭოს დავალებით მოეხდინა ხელახალი არჩევნები. იმის შემდეგ ჩემს მისვლას ეჭვით შეხედეს, ისევ ფედერალისტები ხომ არ მოვიდნენო.

გლეხკაცობას ეტყობა არ დავიწყებოდა 1905 წელში ვინ იწოდა რევოლიუციის და შემდეგ რეაქციის სამსხვერპლოზე. ვინა ლპებოდა ციხეებში და ვინ აავსო ცივი ციმბირის ყინულოვანი ტაიგები თავისი ძვლებით. ამიტომაა რომ დღესაც არამც თუ არ განელებია ნდობა მუშათა პარტიისადმი, პირიქით დღეს გასამკეცებული ნდობით უყურებს გლეხობა სოციალ-დემოკრატიას და ეს ფაქტია,—ფაქტი გაუზვიადებელი. ხაშმზე ვინახულეთ გლეხთა საბჭოს წევრები და ოცდა რვა მარტს თავი ამოვყავით კაკაბეთში. თუმცა დიდათ არ უნდოდა კრების მოწვევა კომიტეტის თავმჯდომარეს, სოფლის მწერალს, მაგრამ დაჟინებული მოთხოვნით ძალათ ჩამოვარეკინეთ ეკლესიის ზარი. მეორე დღეს აუარებელი ხალხი მოვიდა. გლეხებმა შემოგვჩივლეს, რომ ისევ ძველი მჯამლები დაგვიყენეს კომიტეტებათო და რა ვქნათ ვისთან ვიჩივლოთ არ ვიცითო. ჩვენ მაშინვე აუხსენით მუშათა საბჭოს აზრი, რომ გლეხთა მეთაურებათ არას გზით არ შეიძლება ძველი მთავრობის ხელში გაუშმაკებული კაცის არჩევა. განუმარტეთ გლეხებს საზოგადო კითხვები, და დაუმატეთ ის, რომ გაღატაკებული გლეხ-კაცობა ქალაქის მუშათა კლასს უნდა შეუკავშირდეს, თორემ ბრძოლა შეიძლება წაგებული დაგვირჩეს მეთქი. იმ დროს წამოვარდა სოფ. ყანდაურას მღვდელი, რომელიც ყანდაურის გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარეთ ამოერჩევინებინათ ფედერალისტებს და დაიყვირა სოც.-დემოკრატები გატყუებენ,—გლეხს არაფერი საერთო არა აქვს პროლეტარიატთანაო. გლეხობა აღელდა ამაზე და დიდი ცდა დამჭირდა რომ ერთი უბედურება არ მომხდარიყო. როგორც იქნა მღვდელმაც თავი გაარიდა. რომ ხალხი უფრო არ აღელვებულიყო მის წინაამდეგ აღარა მითქვამს რა. „გაუმარჯოს მუშათა პარტიასო“, იგრიალეს კაკაბელებმა, დაარღვიეს ძველი არჩევნები და ამოირჩიეს სრულიად ახლები—9 კაცი. 30-ში სოფ. ყანდაურას ვეწვიეთ. გლეხებს ადრევე გაეგოთ თავიანთი მღვდლის ხულიგანური მოწოდება, ჩვენი გამოჩენა და ხალხის გრიალი ერთი იყო, გაუმარჯოს მუშათა პარტიასო. ძირს ის კომიტეტი, რომელიც ფედერალისტებმა ამოგვარჩევინესო, დაჟინებით ყვიროდნენ გლეხები. აქაც ზედმეტათ დამტკიცდა ის ფაქტი, თუ რა უსაზღვროთ ენდობა ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას გლეხკაცობა. ძველი დაარღვიეს და აირჩიეს ახლები 9 კაცი. ამ გლეხებმა ჩემი მოწმობის პირი გადაიღეს, რომ ვისაც ასეთი ქაღალდი არ ექნება მუშათა საბჭოსაგან სოფელში არ გავაჭაჭანებთო. ვეწვიეთ ჩაილურ-შიბლიანხაც, იქაური გლეხები მეტის მეტათ შევიწროვებულნი არიან მემამულე მალხაზოვისაგან, ჩაილურის მღვდელი მამა გლურჯიძე დიდათ განვითარებული და გლეხების გულშემატკივარი პირი ყოფილა. ბევრი ეხვეწნენ გლეხები გლეხთა საბჭოს წევრათ ყოფნას, მაგრამ არ ინება. ჩაილურის გლეხებმა 5 კაცი აირჩიეს და შიბლიანიდანაც 5 კაცი. 29 ში წერილი ვაფრინეთ სოფ. კაჭრეთში, რომ ხალხი შეეკრიბათ დანიშნულ დროს. დანიშნულ დროს ჩავედით კაჭრეთში. ჩვენი გაგზავნილი წერილი ხელში ჩავარდნოდა თურმე ფედერალისტების დაყენებულ კომიტეტ. ერთ წევრთაგანს მიტო სოლოღაშვილს, იმ სოლოღაშვილს, რომელმაც იოსებ იმედაშვილთან ერთათ პირველ სახელმწიფო დუმის არჩევნებში გაყიდეს მუშათა პარტია და ხმა მისცეს ფედერალისტების კაცს ანდრონიკაშვილს, იმ დროს როცა ისინი მაშინ ჩვენებათ ითვლებოდენ. სოლოღაშვილსა და ადგილობრივ მღვდელს ბოჭორიძეს, გამოეთროთ რამდენიმე გლეხი და მისვლის უმალ გაგვიმართეს აურ-ზაური. ჩვენ მაინც არ დავიშალეთ და გლეხებს განუმარტეთ რაც საჭირო იყო. პასუხი გაგვცა ბოჭორიძემ. ის იყო გამოვედით პასუხის-საპასუხოთ, რომ ვიღაც ტეხნიკის მოწაფემ მღვდელი ბოჭორიძისა და სოლოღაშვილის მეთაურობით აუშვეს ჩვენი ცხენები და მინდორში გაგვიგდეს; ცხენები როცა გაიქცევიან, ესენიც თან გაჰყვებიანო, მართლაც შეგვეშინდა ცხენები არ გაგვექცნენ მეთქი და გამოვექეცით ცხენების დასაჭერათ. მოვბრუნდით და ჩვენი მაინც ვსთქვით. გლეხობა აშკარათ ღელავდა, მარა ამ ორი პირის ეშინოდათ, მაშინ ველარა სთქვეს რა. 1 აპრილს კაჭრეთიდან ჯიმითს შევიყარეთ თავი. ძალიან დიდი სოფელია ჯიმითი. გაიგეს თუ არა, რომ ჩვენ ჯიმითში

უნდა გველაპარაკნა მთელი კაჰრეთის გლეხობაც ამოსულიყო. ბოლოს იხდიდნენ ჩემთან და მეუბნებოდნენ, რომ ცხენების გაქცევინება სულ მდლელის საქმეაო. გლეხკაცობამ მოგვთხოვა ფედერალისტების ვინაობა გაგვაცნითო. ჩვენც აუსრულეთ სურვილი და შემდეგ გავაცანით მუშათა პარტია და მისი მოძღვრება. მთელი ჯიმითი-კაჰრეთი და ქოდალოს გლეხები, ერთი კაცის გამოუკლებლივ ფიცს იძლეოდა, რომ სოც.-დემოკრატიას დაუჭერდა მხარს. 1 აპრილშივე გვახლით არაშენდაში, იქ ფედერალისტები სულ არ შეეშვათ და ჩვენს მისვლას აუწერელი სიხარულით შეხვდნენ. იქ უკვე იყვნენ არჩეულნი ჭდირისეულები. აღდგომა დღეს უკვე სოფ. გიორგიწმინდაში ვიყავით, გავმართეთ მიტინგი. მთელი სოფელი დაესწრო. ჩვენი ლაპარაკი გაგრძელდა 2 ნახ. საათი. აქაც ჩინებულად ჩატარდა საქმე და მთელმა კრებამ ერთხმათ დაიგუგუნა: „გაუმარჯოს ნამდვილ სოც.-დემოკრატიასო“. აქაც 12 კაცია არჩეული.

7, 8, 9 აპრილში მოვიარეთ სოფლები: **მანავი, ბურდიანი და თოხლიაური**, ყველგან დიდის სიწიწებით გვისმენდნენ და ირჩევდნენ გლეხთა საბჭოებს. 12 აპრილში სოფ. საგარეჯოში გავჩნდით, იქ უკვე შეედგინათ გლეხთა საბჭო და ცვლილება არა მოგვიხდენია. 13 აპრილს დავესწარით **სოფ. საგარეჯოს** ს. დ. ორგანიზაციის შედგენას, საცა აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი ხელმძღვანელი ჯგუფი. ასეთივე სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები შესდგა **გიორგიწმინდაში, ნინოწმინდაში, პატარძეულში და ხაშმზე**. ყველგან ერთი და იგივე ენტუზიაზმი იყო ჩვენს ამხანაგებში. 14 აპრილში დავესწარი გიორგიწმინდის გლეხთა საბჭოს და იმ აზრს დაადგნენ ყველანი, რომ ხელმძღვანელობდნენ უსათუოთ მუშათა საბჭოების დადგენილებებით და ს.-დემოკრატიული მოძღვრებით. გლეხთა საბჭოები აირჩიეს სოფ. **პატარძეულში ხაშმზე, უჯარმაში, ხართიჭალაში** და ერთი სიტყვით მთელ სართიჭალის რაიონში აღარ დარჩენილა არც ერთი სოფელი, საცა არ შემდგარიყოს გლეხთა საბჭო. მოვახდინეთ მიტინგები სხვადასხვა სოფლებში, ვეძახოდით ყველას შემოკრებილიყვნენ მუშათა და სალდათთა საბჭოების გარშემო.

20 აპრილს სართიჭალაში მოხდა რაიონული კრება გლეხთა საბჭოების წარმომადგენლებისა. დაესწრო სულ 17 საზოგადოების წარმომადგენლები. სულ 28 კაცი. კრება გახსნა სტუდენტმა დავიდოვმა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რაიონის პროპაგანდისტი ათანასე ქვათაძე. მდივნათ დავიდოვი, კრება მცირე კამათის შემდეგ, კანონიერათ იქნა ცნობილი და შეუდგა არჩევნებს. სულ უნდა არჩეულიყო 7 კაცი. რადგანაც საგარეჯო და მარტყოფის საზოგადოება შესაფერი მანდატით არ მოვიდა, ამიტომ კრებამ უფლება დაუტოვა შემდეგ წარმოედგინათ თითო წარმომადგენელი და კრებამ კი 5 კაცი აირჩია ფარული კენჭით. სართიჭალის რაიონის გლეხთა საბჭოს წევრებათ არჩეულ იქმნენ: 1) ვასილ კანჯარაშვილი, 2) მიხა ჯილაური 3) ივანე მაისურაძე, 4) გოტლიბ მაიერ, 5) სტრუჩინინ ილია. ორიც იმ ორი სოფლიდან. გვარები შემდეგ.

ა. ქვათაძე.

პროვინციის ცხოვრება.

გუნიბი, (დაღესტნის ოლქი). დაღესტნის ოლქის ადმინისტრატიული ცენტრი—სიმაგრე გუნიბი, ეს შამილის უკანასკნელი იმედი და თავშესაფარი, რომლის აქვე დატყვევებით თ. ბარიატინსკიმ 1859 წ. დაამთავრა აღმოსავლეთ კავკასიის დამორჩილება,—გაშენებულია მიუვალ და უზარმაზარ კლდეების კორტოხზე და მრისხანეთ გადაჰყურებს მახლობელ არემარეს. გარდა რამოდენიმე ათეული კერძო შენობებისა—მთელი გუნიბი უკავია სამხედრო ყაზარმებს და სხვა ასეთ დაწესებულებებს, აქ არის ფოსტა, ეკლესია, შკოლა, აგრონომიული პუნქტი და ახლად გახსნილი კოოპერატიული სავაჭრო.

სოფლებიც უმეტეს ნაწილად ასეთ კორტოხებზეა გაშენებული.

ხე-ტყის სიძვირის გამო ლეკები ცხოვრობენ მიწურ ქოხებში, ჯგუფ-ჯგუფად—მონათესავე ოჯახები. სწორ მიწა-ადგილებს მოკლებულნი—ეომებიან კლდეებს, რომლებშიც სთხრიან პატარ-პატარა „ტერასსებს“, ავაკებენ ხელოვნურათ და ამუშავებენ მათ. მაგრამ, ცხადია, ასეთ პირობებში მოწეული პურნახული ძლივისაგან დიდი 3—4 თვის სარჩოს არ აღემატება და ამ მიზეზით ბევრი მათგანი ესწრაფვიან ქალაქებს ლუკმის მოსაპოვებლად. მიუხედავათ იმისა, რომ მათი სიღარიბე კლდით აუწერელია,—იშვიათად შეხვდებით ისეთ ლეკს, რომელიც თავის ბედს ემდუროდეს, გრძნობდეს, ფიქრობდეს და ჩიოდეს თავის უწყალო მდგომარეობაზე ის შეურიგებულა თავის ყოფა-ცხოვრებას და ეს ღვთისაგან დაწესებულათ მიაჩნია. თან ისეთიც ბევრია, რომ თავის სიცოცხლეში „აულს“ არ გასცილებია და აბა რა გასაკვირია, რომ მათ უკეთეს ცხოვრებაზე წარმოდგენაც არა აქვთ და თავისი იდეალური ჰკონიათ.

სისუფთავეზე ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგან ის ფაქტი, რომ საპონის ხმარება ცოდვათ მიაჩნიათ—თავის-თავად საკმაოდ ღაღადებს. შეკერილ საცვალს გაქონავენ ცხვრის ღუმით (მავნებელთა საწინააღმდეგოთ) და ატარებენ მანამდე, სანამ ის სრულიად არ შემოეფლითება ტანზე.

სწავლა-განათლებას გაურბის ლეკი არა ნაკლებ, ვიდრე ღორის ხორცს. მთელს ოლქში სულ ორი სახალხო სკოლაა და ორივეში ერთად მოწაფეთა რიცხვი ოცს არ აღემატება (მცხოვრებთა რიცხვი კი 70,000 უდრის!). ასევე ეშინიათ სხვა დანარჩენ კულტურულ დაწესებულებებისაც, როგორიც არის ფოსტა ტელეგრაფი და სხვა ასეთები. ყველა ესენი რუსების „ოინებათ“ ეჩვენებათ, ეშინიათ არ გაარუსონ ისინი, სარწმუნოება არ წაართვან და შემდეგ „სალდათშიც“ არ გაიწვიონ.

რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ მთელი ეს და სხვა მახლობელი ოლქები ათასგვარ ცრუ მორწმუნეობის საუნჯეს წარმოადგენდეს. ათასი წლის წინათ შემოღებული ადათ-შარიატები, რომლებსაც იმისდა მიუხედავათ, რომ ცხოვრებამ გაასწრო და მრავალი მათგანი ბუნებრივათ გააბათილა, ეხლაც სრულ ხმარებაში არიან და ცხოვრებასაც მათი კარნახით ეწევიან.

ლეკები ემორჩილებიან თავისავე ხალხურ საოლქო სასამართლოს. უკანასკნელი მათ მიერვე არჩეულ დეპუტატებისგან შესდგება და სამართალიც ადათ-შარიატითა და ყურანის მიხედვით სწარმოებს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ამ სასამართლოში ერთად-ერთი ყურანის „მცოდნე“ პირი მოლაა, ადვილად წარმოსადგენი იქნება, თუ რა დიდი ასპარეზი აქვს მას სამართლის თავის გემოზე და სურვილზე სატრიალებლად, და ამ პირობებში ხომ ქრთამებსაც ფართო გასავალი ექნება და აქვს კიდეც.

მგონია უადგილო არ იქნება საილუსტრაციოთ რამდენიმე დებულებები მოვიყვანოთ ამ შარიატისაგან: ხვნა-თესვა და მკა იწყება ერთ აღნიშნულ დღეს, რომელსაც შესაფერათ დღესასწაულობენ. მანამდე თუ ვინმე იურჩებს და იმუშავებს, თუგინდ მას დროც ხელს უწყობდეს, ამინდიც და თან საჭიროებაც მოითხოვდეს—მას სამართალი სჯის. იყო ასეთი მაგალითი: ლეკმა მოთიბა იონჯა დანიშნულ დღეზე ადრე. მიუხედავათ იმისა, რომ დანიშნული დღე ენკენისთვის ბოლო რიცხვებში იყო და იონჯა ამდენს ვერ მოითმენდა,—სოფელმა ის სამართალში მისცა და უკანასკნელსაც ჯარიმასთან ერთად ციხეც მიუსაჯა „დამნაშავეს“. მეორე: მკვლელს, სხვა სასჯელთან ერთად ვალად ედება მოკლულის ოჯახის სასარგებლოთ ერთი ხარი, ანდა მის ნაცვლათ—5 მან. ფულათ. ერთ დროში, როცა ხარი 5 მ. ფასობდა, იქნებ ამ ადათსაც ჰქონდა აზრი, დღეს-კი ხარი 200 მან. ფასობს და მეტიც, წესი-კი ძველი დარჩა, და აბა ვინ იქნება გიჟი, რომ ხარის მაგიერ ხუთ მანეთს არ გადაიხდის. სამწუხაროთ, ასეთ წესებზე აგებულ სასამართლოს ისეთი ფართო უფლებები აქვს მინიჭებული, რომ ხშირათ ბრალდებულს ციმბირითაც კი უმასპინძლდება.

ნეტა როდის ამოიფხვრება ეს მუწუკი დაღესტნის ცხოვრებიდან!..

სხვა ბოროტებებს თან ერთვის მრავალ-ცოლიანობაც და ისიც უგუნურ ადათებზე აშენებული. საქმრო საცოლეს პირობით ეკვრის, რომ თუ გაეყრება ჯარიმა გადაიხადოს, მარა თუ სახეში მივიღებთ ჯარიმის სიმცირეს (ხშირათ ათ მანეთსაც არ აღემატება, არის ნაკლებიც), ადვილად დავინახავთ, თუ რა ხსნილი აქვს გზა მამაკაცს დედაკაცის ყოველგვარ დამცირებაში. ხშირია ისეთი „კანონიერი“ შეუღლებაც, რომელიც მხოლოდ ერთი დღით განისაზღვრება და მეორე დღეს დედაკაცი იძულებული ხდება ახალი „ბედის“ ძებნას შეუდგეს.

საერთოდ აქ დედაკაცი შინაურ ცხოველის დონეზე სდგას და მათ ისე განაგებენ ბ-ნი ქმრები, როგორც საქონელთ. ქალი ხნავს, ქალი სთესავს, მკის, ზიდავს, ფქვავს და სხვა. ამ დროს კი, მისი ბატონ-პატრონი წამოწოლილია და „გვამს“ ამზეურებს თავისას. დედაკაცი მძიმე ტვირთ-ქვეშ ოფლით იწურება და სულს ღაფავს, მამაკაცი კი ცარიელი უკან მიზოზინობს, ხშირათ ცხენითაც. გაჰყურებ ამ სანახაობას და ბრაზი გერევა, მაგრამ ვერ ბედავ შეურაცხყო მათი წმინდათა-წმინდა, მათი ადათი...

ერთ უბედურებას სალაპარაკო ენის არევდარევაც შეადგენს. უმთავრესი ენა აქ ლეკურია (ავარიული), მარა ეს საერთოდ უნდა ითქვას, კერძოთ კი ხშირათ შეხვდებით მეზობელ „აულებს“, რომლებსაც ერთი-მეორის არაფერი ესმით.

ადვილი წარმოსადგენია რა რიგ „მომზადებულათ“ უნდა მიეგებებოდა დაღესტნის მცხოვრებლები რუსეთის თავისუფლებას.

ამაზედ შემდეგ წერილში.

ერ. რა—ლი.

კავკასიის ჯარი (დაპყრობილი ოსმალეთი).

ჩვენი ერთი როტა (მე-6 კავკასიის ბატალიონის მე-6 როტა), შემდგარი 280 კაცისაგან მუშაობს დაპყრობილ ოსმალეთში მკუს სამხედრო რკინის გზაზე სოფ. იპაგში, სადაც ახლა სდგას ადგილობრივი კომენდანტი თავის 100 კაცის გან შემდგარი კომანდით და ერთი როტა 621 კავკასიის დრუჟინისა, შემდგარი 200 კაცისაგან. ასე რომ ამ რაიონში მოკალათებული ვართ 580 კაცამდე, ამათ რიცხვში არიან 7 აფიცერი. 20 მარტს შესდგა საერთო კრება კომენდანტის მეთაურობით, სადაც არჩეულ იქნა დროებითი თავმჯდომარე, რომელმაც ხალხს აუხსნა კრების შინაარსი. ამავე დღეს თავმჯდომარის წინადადებით არჩეული იქნა ყოველ ნაწილებიდან ოთხ-ოთხი კაცი როტის კომიტეტებათ და მაგდენივე მათი თანაშემწეები და მთელი რაიონის (გარნიზონის) თავმჯდომარე. შემდეგ არჩევნებისა კრებამ მოისურვა ამ რაიონში ბიბლიოთეკი დაარსება, რომლის ფონდის გასაძლიერებლათ შესდგა შემოწირულებები. მოგროვდა 356 მ. 14 კ. ამ შემოწირულებიდან კრებამ დაადგინა 100 მან. გაეგზავნოს დროებითი მთავრობის თავმჯდომარე როძიანკოს რევოლიუციაში თავდადებულთა გმირების ცოლშვილთა სასარგებლოთ და დანარჩენი 256 მ. 14 კ. ბიბლიოთეკას. მთელი გარნიზონი (სამი კომანდა) შეადგენს უსწავლელ მასსას. უმრავლესობას (ორ ნაწილ) შეადგენს სომხები, დანარჩენი კი არიან რუსები, ნემცები და ქართველები. ჯარისკაცთა შორის ჯერ ისევ ძველებური შურისძიება, ეროვნული განხეთქილება და კინკლაობა არსებობს. დისციპლინა შეფერხდა. კერძო ინტერესებს და არა სასურველ მოვლენებს ხშირად აქვს ადგილი. ოფიცრებსა და სალდათებს შორის აღარ არსებობს არავითარი კავშირირი.

კარგი იქნება, რომ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან შესაფერი მოწმობით აღჭურვილი პირი გვესტუმრებოდეს და მდგომარე ცხოვრების მსვლელობას გაგვაცნობდეს.

ისმინეთ ამხანაგებო, ჩვენი თხოვნა და მოგვეშველეთ.

ფ—რლი.

მოსწავლე ახალგაზრდობას.

ამხანაგებო! ყველასათვის ცხადია, თუ რა დრო დადგა, რა სანეტარო ხანა მოგვცა ამ დიდმა რევოლიუციამ, მაშინ როდესაც ჩვენი ძმები იქ სისხლს ღვრიდნენ—ჩვენ გვეძინა, არაფერს ვაკეთებდით. საქმეები რაც იყო უკვე ქნეს იმ სახელოვანმა ძმებმა, მხოლოდ ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, მომავალმა დემოკრატიულ რესპუბლიკანურ სახელმწიფოს წევრებმა მათ მხარი უნდა დავუჭიროთ, ამ თავისუფლებას მაგარი ხიძი უნდა შევუქენოთ, რომ შავრაზმელებმა ის არ დაგვიშალონ და კიდევ ჩვენზე ბატონობა არ მოინდომოს. ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, ტანჯულ ხალხს ძმური, ერთობის ხელი გავუწოდოთ. ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენი მოვალეობაა—აქედანვე საქმეს ხელი მოვკიდოთ გულიანათ, მარტო ლაპარაკით ვერას გავაკეთებთ, თავი დავანებოთ უბრალო ბრომიურების და რომანსების კითხვას, ჩავეწეროთ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, იქ მუყაითათ ვიმუშაოთ, მეცნიერულათ ჩვენი პროგრამები შევისწავლოდ და საბრძოლველათ მოვემზადოთ. აი სწორედ ეხლა 4 თვე კანიკულებისა ჩვენს ხელშია, დავაარსოდ პოლიტიკური წრეები, მოზარდი თაობისათვის, გავაჩაღოთ შიგ მეცადინეობა, დიახ! იმედი ჰქონდეს ჩვენს ამხანაგებს, რომ ჩვენც იმათსავით შევძლებთ მათ შემდეგ ხალხისთვის, ხალხთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული უსამართლობას ვებრძოლოთ.

ნემო.

განმანაწილებელი ლაზარეთი № 33.

ხსენებულ ლაზარეთის ცხოვრებიდან სისტემატიურ ცნობებს ვერ ვაწვდით ფართო საზოგადოებას და ეს ერთი საუკეთესო იარაღთაგანი შესაფერისად ვერ გამოვიყენეთ. აქ შეუწყნარებელ ბოროტებას ქონდა ადგილი და სამწუხაროთ დღესაც აქვს. ექიმთა რიცხვი ამ ლაზარეთში 30-მდე აღწევს. ერთმა მათგანმა თავის მორიგების დროს, სადაც ბრძოლის ველიდან მომსვლელი ავათმყოფები, ექიმის მიერ უნდა გადაირჩეს და ავათმყოფობის მიხედვით განაწილდეს სხვადასხვა განყოფილებებში, ერთ დღეს ხსენებულ საქმეზე საექიმო მოვალეობის შესასრულებლად, 15 წლის ტელეფონზე მომუშავე ბიჭი გაგზავნა და თვითონ სამორიგეო ოთახში ჯდომა არჩია. იმავე ხანებში ბ. მორიგე ექიმმა, იმისათვის, რომ ვიღამაც გული მოაყვანინა ყინვიან ქარბუქში მიდვრათ დაყრილი ავათმყოფები მიატოვა და თავის ასეთ დიდ საპასუხისმგებლო მოვალეობაზე ხელი აიღო. თვით ექიმთა კორპორაცია, რომელიც სისტემატიურ კრებებს მართავდა მხოლოდ იმისათვის, რომ მოწინავე მუშების წინააღმდეგ ათასნაირი ბრალდებები შეეთითხნათ, არც ერთ სხდომაზე, რომელიმე ექიმის დანაშაულობანი დღის წესრიგში კითხვადაც არ დაუსვამთ. და ეს იმიტომ, რომ გარდა ერთი, ან ორი პირისა ყველანი ზემო მოყვანილ მზგავს ცოდვებს იდენდნენ და იდენენ დღესაც. ბ. უფროსი ექიმი ვ. ლამბაშიძე პუნქტს ძლიერ იშვიათად ნახულობდა, მობრძანდებოდა თავის კაბინეთში 2—3 საათის განმავლობაში, ღებულობდა მთხოვნელებს და მხოლოდ ამით ისაზღვრებოდა იმის მოღვაწეობა. ჩვენ კი აგვ. მოწინავე მუშები თავიდან გამუდმებით ვებრძოდით ყოველგვარ უკუღმართობას, და გამუდმებით გვესხმოდნენ თავზე. ერთხელ ავწერეთ საბუთებით ყოველგვარი დანაშაულებანი ექიმების მიერ და მოვახსენეთ ბ. ლამბაშიძეს: თუ თქვენ არ მიიღებთ საჭირო ზომებს, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ კომიტეტს მივმართოთ. მან ალბათ წინასწარ დარწმუნებული, რომ ვერ მივაღწევდით დასახულ მიზანს ასე გვიპასუხა: „ყოველივე ის, რასაც თქვენ მიმტკიცებთ, მე ვიცოდი უთქვენოდაც, მაგრამ ამ ექიმებთან ბრძოლა ჩემს ძალღონეს აღემატებაო“. ამავე საგანზე მეორე დღეს ბ. ვესელოზოროვთან მივედით და ვსთხოვეთ, წამობრძანებულიყო ლაზარეთში და ყველაფერში იქ ადგილობრივად დარწმუნებულიყო, მაგრამ ბ. კომიტეტის თავმჯდომარემ ეს არ ინება და ფეხების ბაკუნით გვიბრძანა: „მე ყველაფერი მიამბო ლამბაშიძემ, რომ თქვენ იქ რევოლიუციონერებს შეგიყრიათ თავი და ბუნტობთ, თავი გაანებეთ მაგაებს, ყველას დაგიჭერთ და პოზიციებზე გაგზავნით“, უბის წიგნში ჩაიწერა ჩვენი სახელი და გვარი და კარები გვიჩვენა. მოკლეთ, ასეთი მდგომარეობა იყო დღემდე და იქნება მინამ, სანამ ამ დაწესებულების ძირითადი რეორგანიზაცია არ მოხდება და ნდობით აღჭურვილი პირები არ მოექცევა საქმეს სათავეში.

წევრი.

გაზეთის სასარგებლოთ.

რედაქციამ მიიღო 11 მ. კლინიკე ცეცხლაძის და მიხა მაისაშვილის მიერ პრესის დღეს შეგროვილი.

ხ.-დ. ვაშალი. რკინის გზის მოსამსახურეებმა შევაგროვეთ 34 მ. გთხოვთ ეს ფული გაანაწილოთ ასე: ხუთ-ხუთი მანეთი „ერთობას“ და „ფაიქარს“, 20 მ. 20 კ. მუშათა დეპუტატების საბჭოს. დანარჩენი გამოწერეთ გაზეთი „ერთობა“ სამი თვით ამ ადრესით: 34 Инженерный полкъ, 1 саперная рота.

მინდობილობით ვასილ ზალიკას ძე ცომაია.

ველისციხე. „ერთობის“ ფონდისათვის მივიღეთ 36 მ. 20 კ. ამათში გლეხთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შემოუწირია 10 მ. მარტია გიორგის ძე ზეილანოვს 3 მ. და სხვა.

მ. ველისციხელი.

უდროოთ გარდაცვლილ გიორგი მაქსიმეს ძე ზენაიშვილის მოსაგონებლათ გიგზავნით 20 მ. გაზეთ „ერთობი“-ს ფონდის გასაძლიერებლათ.

შალვა ბესარიონის ძე ცინცაძე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

დერბენტი. მე-6 კავკასიის მსროლელ პოლკის ჯარისკაცი, შორაპნის მაზრის სოფელ ვახტანგის მცხოვრები სპირიდონ ალექსის ძე ლაცაბიძე დერბენტის მე 6 ლაზარეთში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 6 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალულ იქმნა დერბენტის სამხედრო სასაფლაოზე. მას დარჩა 12 მ. ფული, ვთხოვ მის ჭირისუფლებს მაცნობონ თავისი მისამართი ფულის, გასაგზავნათ. ჩემი მისამართი: гор. Дербентъ Даг. обл. Лазаретъ № 1. Вс. С.б. фельдшеру Александру Кванталіани.

სამსონ გიორგის ძე სირაძე ოზურგეთის მაზ. მცხოვრები სოფ. ბუკნარში, 1914 წელს წავიდა სამუშევრად ახალ-სენაკის გზის ლიანდაგზე დ. ოჩამჩირეში. მას მერმედ მისმა ცოლშვილმა და ნათესავებმა არაფერი იცის თუ რა ბედი ეწია. ყველას სთხოვს ვინც რამე იცის მის შესახებ აცნობონ შემდეგი მისამართით: Полевой Военно-Санитарной поѣздъ № 2 Кавказскій М. Матиташвили.

სიმონ ბაქურას ძე ბელქანია მსახურებდა ქალაქ ელისავეტოპოლში 229 სათადარიგო ბატალიონში მეათე როტაში. რამოდენიმე თვეა რაც მის შესახებ არაფერი არ ვიცით თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ შეგვატყობინოთ წერილით შემდეგ მისამართით: въ м. Старо-сенаки черезъ Ново-сенаки. Манучару Чубабрія.

თენგიზ (იგივე დარე) დავითის ძე ბერიძე მსახურებდა „პირველ ვიუჩნი ტრანსპორტში“, აგერ ხუთი თვე სრულდება მის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს. ვსთხოვ ყველა იმ პირებს, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი ადრესით: 3 Кавказская рабочая бригада, 13 баталіонъ, 3 рота 3 взводъ Елизбару Дав. Беридзе.

ჯარისკაცი კირილე ამბაკოს ძე სულაბერიძე მსახურებდა კავკასიის არმიაში მე 28 კავკასიის ეტაპის ბატალიონში, 1 როტაში,2 ზვოდში. სამი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ გვაქვს. თუ ვინმემ იცის რამე ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Пладформа Леса 35 верстъ, Амбако Сулаберидзе.

წერილები რედაქციის მიმართ.

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს. გაზეთ „თ. აზრის“ № 29 ში ფერშალმა კალდობსკიმ ჩემზე მოათავსა ყოვლადვე სიმართლეს მოკლებული ცნობა: თითქოს განსვენებულ ნიკო ტოროტაძეს ჩემთვის 70 მანეთი მიებარებინოს, ეს ყოვლად შეუწყნარებელი და უსაფუძვლო ცილის წამებაა. პირველ ყოვლისა მისთვის, რომ განსვენებულ ნიკო ტოროტაძეს არც შეეძლო და არც საჭიროებდა ჩემთვის ფული მოებარებინა, ვინაიდან ის ფერშალი იყო და ჩემთან შედარებით უფრო მშვიდობიან ადგილას იყო ყოველთვის, მე კი მოწინავე პოზიციებზე. მეორეთ განსვენებულს ჩვენს როტაში ჩემზე უფრო დაახლოვებული პირები ჰყავდა და თუ რამეს შენახვა უნდოდა, საფიქრებელია, რომ ჩემზე უწინ მათ მიაბარებდა. განსვენებულის ტრაგიკული სიკვდილი კი ისეთ პირობებში მოხდა, რომ ჩვენ მის ახლო მეგობრებმა კვალიც ვერ მივაგენით განსვენებულისა. ცხადია ბ-ნ კალდობსკის გამოლაშქრება ჩემს წინააღმდეგ კერძო ინტერესით გამოწვეული ცილისწამებაა, რასაც [illegible] დავამტკიცებ.

[illegible] წულაძე.

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ულრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და დახმარება გაგვიწიეს, როგორც თავიანთი წვლილის გაღებით, ისე ნაცნობ-მეგობართა შორის ფულის შეგროვებით ქალ. ოზურგეთში დიდებული მგოსან აკაკი წერეთლის ძეგლის დასადგმელ ფონდის სასარგებლოთ.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი **დიმ. ერისთავი.**

საზურთალოს დრამატიული წრის გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, ვინც კეთილი ინება და შეძლების დაგვარათ დახმარება აღმოუჩინა საზურთალოს სცენას.

წრის გამგეობა.

„ძმაკაცის“ წერილის გამო. ვსთქვი და ვამბობ: პირადათ მე არც მოსამსახურეთა წინააღმდეგ მაქვს რამე, მხოლოდ წინააღმდეგია სასწავლებლის საბჭო, პატრონი სასწავლებლისა, რომ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც რამოდენიმე თვით პირობით იყვნენ მოწვეულნი, პანსიონის დაკეტვის შემდეგ აძლიოს ხუთი თვის ჯამაგირი, როდესაც მოსამსახურენი გულ-ხელ დაკრეფილნი უნდა ისხდნენ უსაქმოთ.

მღვდელი **ეგნატე მენთეშაშვილი.**

გულითად მადლობას ვწირავთ ილია ანტონის ძე მეგრელიშვილს, რომელმაც კეთილ ინება ტ ნოლის მომავალ უფასო სამკითხველოსთვის შემოსწირა 50 მან.

მღვ. **ვლადიმერ კანდელაკი.**

რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან პოლიტიკურთა ნიადაგზე დათხოვნილ და გადასახლებულთა საყურადღებოთ. ამხანაგები სთხოვენ მობრძანდენ კრებაზე შაბათს ხუთ საათზე საღამოს 6 მაისს ნაძალადევის მოედანზედ თეატრის გვერდზედ. მოწვევის მიზანია გამოიძიონ რა დაბრკოლებები ეღობება წინ მაგათი ამდენი ხნის მიუღებლობას. მასთან მოხდება ჩაწერა ვინ არიან მსურველნი სახელოსნოში დადგომის.

რაჟდენ ბახტაძე.

ჩვენი ფოსტა.

ს. თოფურიას. თქვენი სამგლოვიარო განცხადება გუშინ მივიღეთ.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. გოხოხაძე.

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისულფშივენის, —ტიპით, დიდი სალინოიდი სპეციალური [illegible] და არსონვალის ტოკებით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭკვების, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ზურგის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: მუშთაიდის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი პ ი ბვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი გ. გ. მეხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძის გამგეობის შესახვევი № 1.